ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 26 დეკემბერი, 2017 №306 (7541) ფასი: 50 თეთრი

რატომ არ მივიდა ეპისკოპოსების ნაწილი პატრიარქის აღსაყდრების საზეიმო წირვაზე

გვ.4

15 დეკემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ – თალაკვაძე, მდინარაძე, გეგიძე და ენუქიძე ახალ ფრაქციებზე ვერ შეთანხმდნენ

გვ.3

„კადიროვი საქართველოში შემოსაჭრელად ემზადება“

გვ.3

„მივმართავ ხელისუფლებას, იქნებ ახლა მაინც გამოხვიდეთ კეთილების გინების ხიბლიდან“

„ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც ტერორისტებს საქართველოში გამოზამთრების საშუალებას აძლევენ“

დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტროში ნეპოტიზმი ყვავის“

გვ.2

გვ.5

მირიან მირიანაშვილი: „მომავალი წელი საქართველოს პოლიტიკური სისტემისთვის რევოლუციური ცვლილებების წელი იქნება“

სამართალი

გვ.7

მესტიის საკრებულოს წევრი, ნაციონალი ლომარ ნიგურიანი ბაზარში ჩაცხრილეს

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი: „თუ 3 იანვრისთვის არ მექნება მომზადებული დასკვნითი სიტყვა, შეიძლება ისევ მოვითხოვო გონივრული ვადა“



სუსი: „აფხაზეთის ე.წ. ციხიდან გიორგი ლუკავას გათავისუფლება მრავალთვიანი მოლაპარაკებების შედეგია“

ეკონომიკა

გვ.6

სემეკმა ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები გაზარდა

ისრაელიდან საქართველოში ინვესტიციების შემოდინება არასოდეს შეწყვეტილა

„4-წლიან პერსპექტივაში სადაზღვევო სექტორი მშპ-სთან მიმართებაში 1,7%-მდე გაიზრდება“

ISSN 1987-9385

2 გელა ნიკოლაიშვილი: „პოლიცია არც უნდა დავაჩმოროთ და არც გავათავხედოთ“

5 ვახტანგ ძაბირაძე: „მრავალპარტიული პარლამენტი უკეთესად მუშაობს, ვიდრე სამპარტიული“

6 თბილისს ყველაზე მეტად რეკრეაციული ზონები აკლია

7 შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზატორი დააკავა

გელა ნიკოლაიშვილი: „პოლიცია არც უნდა დავაჩმოროთ და არც გავათავხედოთ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** პასუხობს.

– ბატონო გელა, ბოლო პერიოდში გვესმის შეფასებები, რომ პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებმა იმატა და არის დანაშაულის შემცველი შემთხვევებიც. ან რას იტყვით მწერალ ზვიად რატიანის საქმეზე? როგორც უფლებადამცველი, როგორია თქვენი შეფასებები?

– რა თქმა უნდა, ხშირად არის გადამეტება. იმიტომ, რომ როგორც ამჟამინდელი მინისტრიც ამბობს, 40 ათასი კაცი ასე უცებ შინაგანად ვერ შეიცვლება. მათ როგორც იციან მუშაობა, ისე მუშაობენ. უბრალოდ, მათ მკაფიო მითითება არ ჰქონიათ, რომ ისე აღარ უნდა იმუშაონ, როგორც ადრე მუშაობდნენ.

– საკმაოდ ლმობიერი იყო გიორგი მღებრიშვილიო. რამდენად იზიარებთ ამ შეფასებებს?

– გარკვეულწილად ის ცდილობდა, თუმცა კიდევ ვიმეორებ, მკაფიო მითითება, რომ პოლიციელებს მხოლოდ კანონის დაცვით ემუშავათ, არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ისეთი მითითებაც არ იყო, რომ მიდით და ჩვენ აქა ვართ და თქვენ თითს ვერავინ დაგაკარებთ, გინდ ხალხი დახოცეთ და რაც გინდათ ქენითო; როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო, ასე არ ყოფილა, მაგრამ არც არავის უთქვამს მათთვის მკაფიოდ, რომ ჩადებაზე თქვენ პასუხს აგებთ, უფლებამოსილების გადამეტებაზე პასუხს აგებთ, ასეთი არც მითითება იყო და არც პრეცედენტები ყოფილა. ახლა თუ შეიქმნება ეს პრეცედენტები, იქნება ძალიან კარგი! ახალი მინისტრის პოზიცია მისაღებია.

– რა კუთხით არის მისაღები?

– იმ კუთხით, რომ, რა თქმა უნდა, შესაძლოა პოეტმა ზურაბ რატიანმა თავის მხრივ რაღაცა სამართალდარღვევა მართლაც ჩაიდინა, მართლაც შეიგინა, მაგრამ ეს ერთი სამართალდარღვევაა, მაგრამ ამაზე, შურისძიების მიზნით, პოლიცია რომ უარეს დანაშაულს ჩადის, აი ამ შემთხვევაში მათ უნდა გაიგონ, რომ ეს არის მიუღებელი და ეს არის დასჯადი, რაზეც მოეთხოვებათ პასუხი. ძალიან რთული საკითხია და ოქროს შუალედია მოსაძებნი.

– კერძოდ?

– არც მთლად უნდა დააბეჩავონ და ჟარგონს ვიხმარ, დაჩმორონ ეს პოლიციელები, რომ რაც უნდა ის უთხრან და ამის გამო პასუხი არ აგონ. თუმცა, მეორე მხრივ, პოლიციის მხრიდან პასუხი უნდა იყოს ადეკვატური და კანონის შესაბამისი. ამისთვის არსებობს მათთვის მინიჭებული უფლებამოსილება, ბორკილების დადება, სასამართლოში წარდგენა, დაჯარიმება და ასე შემდეგ, ხოლო თუ მაინცდამაინც უფრო უარესს ჩადიან, სისხლის სამართლის ბრალის წაყენება. ეს რის პოლიციის ფუნქცია და ვალდებულება და არა ის, რომ როგორ მიბეღავ, შეურაცხყოფას როგორ მაყენებ და ამით პოლიციელმა უარესი დანაშაული ჩაიდინოს. თუ იქნება მკაფიო მითითებები და ისეთი მოქმედებები პოლიციელების მისამართით, როგორც ახლაა, რომ დროებით გადააყენეს ეს ადამიანი და გამოძიება დაიწყო რატიანის საქმეზე. სხვა საქმეა სადამდე მიგვიყვანს გამოძიება, მაგრამ ეს უკვე კარგია და გაფრთხილება იქნება იმ პოლიციელებისთვის, ვინც ასეთი მუშაობის სტილს არის შეჩვეული და სხვანაირად არ შეუძლიათ.

– ბატონო გელა, როგორი მოცემულობაა დღეს, პოლიციელთა 90% იგივე მეთოდებით მუშაობს, როგორც ამას საია აკავშვილის ხელისუფლების პერიოდში აკეთებდა?

– აქ მთავარი არის არა ის, რომ მათ იგივე მოქმედებით შეუძლიათ მუშაობა, არამედ ის, რომ მათ კონკრეტული პოლიტიკური მესიჯები უნდა მიუვიდეთ, რომ არ შეიძლება ასე მოქმედება. თუმცა გავიხსენებ ერთ ფაქტსაც, ჩვენ გვქონდა კონკრეტული მაგალითი ბათუმის მოვლენების დროს, ხომ ძალიან ცუდი რამ მოხდა, წვავდნენ, ამტვრევდნენ, მაგრამ იქ, არათუ გადაჭარბებული ძალა არ გამოიყენეს, ადეკვატური ძალაც კი არ გამოიყენეს, მობრძანდით და წაბრძანდითო, პოლიტიკას ზედმეტი ხმამაღალი სიტყვაც კი არავისთვის უთქვამს.

– ანუ ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე?

– ალბათ. იმ შემთხვევაში შეიძლება ზედმეტად გაფრთხილდნენ, მაგრამ ჯობია ზედმეტად გაფრთხილდე, ვიდრე ის, რომ აი, რა მაგარი ვარ და აქედან უცემი არავინ უნდა გავიდეს და ასე შემდეგ. როგორც ეს 26 მაისს და 7 ნოემბერს იყო. ეს ორი უკიდურესობაა და აქ საშუალო უნდა გამოინახოს, იმიტომ, რომ პოლიციას აქვს თავისი უფლებები და თავისი მოვალეობები.

– ბატონო გელა, გვესმის შეფასებები, რომ ბოლო ორი წელი საკმაოდ ხშირი იყო ნარკოტიკის ჩადების ფაქტებიო. ვნახეთ ჩვენ, რომ სასამართლოს ძალიან ხშირად გამამართლებელი განაჩენები გამოჰქონდა. ამ ტენდენციაზე რას იტყვით? რატომ მიდიოდა ამაზე შსს?

– მე, პირველ რიგში, იქიდან დავიწყებ, რომ ეს გამართლების ტენდენცია ახალი და კარგია. ესეც უკვე სიგნალია მათთვის, რომ ყველა ჩადება არ დამთავრდება გამამტყუნებელი განაჩენით. მე ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე გეტყვით, რომ მართალია ძირითადად უდებენ მომხმარებლებს, რომლებიც ან უკვე ნასამართლევი არიან, ან შემჩნეული და დაჯარიმებული, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? ჩადება არის სისხლის სამართლის დანაშაული! ისინი უფრო დიდ დანაშაულს ჩადიან, ვიდრე ის მომხმარებელი. ამიტომ ეს ცუდი და დასაგმობი ტენდენციაა. მე მგონია, რომ რაღაცა გარდატეხის ეტაპზე ვართ, როდესაც ჯერ დაიწყეს მოსამართლეებმა და არ უპრავებენ ყველაფერს.

– პოლიცია თუ ძველი კონტინგენტია, მოსამართლეებიც ხომ არ შეცვლილან?

– დიახ, მოსამართლის დიდი ნაწილიც ძველია, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მათაც გარკვეული მითითება მიიღეს, პოლიტიკური სიგნალები, რომ ჩვენ არ გვინდა, ეს ჩადებები ყველა შემთხვევაში იყოს გაპრავებული. მე იმედით ვუყურებ მომავალს, რომ ეს სრულად თუ არ აღმოიფხვრება, ძალიან მნიშვნელოვნად მაინც შემცირდება.

– სერიოზულ რეფორმებს გეგმავს გახარიაო. თქვენ როგორ აფასებთ ახალ მინისტრს?

– პირველი შთაბეჭდილება შემიძლია ვთქვა, რომ არის ფრთხილი ოპტიმიზმი. იმიტომ, რომ ჯერჯერობით რაც თქვა და რაც გააკეთა ახალმა მინისტრმა, მას შეცდომა არ დაუშვია. არც ნათქვამში და არც გაკეთებულში. მთავარი არის მაგალითის ძალა, როდესაც 40 ათასი პოლიციელი შეხედავს, რომ თუნდაც 4 პოლიციელს ეს შეემთხვა, ამის მიმართ არ არის ლოიალური დამოკიდებულება, დანარჩენები უფრო ფრთხილად დაიწყებენ მოქმედებას. არავის არ უნდა დღეს სამსახურის დაკარგვა, მით უმეტეს, ციხეში წასვლა. ნელ-ნელა ისწავლიან კანონის ფარგლებში მოქმედებას. მთავარია, რომ ამის მოთხოვნა მოდიოდეს ზემოდან.

– საუბარია, რომ ეს წელი საკმაოდ მძიმე იყო თუ გავითვალისწინებთ მოზარდებში მომხდარ დანაშაულებებსო. როგორც უფლებადამცველი, რას ფიქრობთ, რატომ იმატა სკოლის მოსწავლეებში ამხელა აგრესიამ?

– გეთანხმებით, საკმაოდ მძიმე ფაქტები მოხდა. როგორც ჩანს, ჩვენს მოზარდებში, სკოლის მოსწავლეებში, რაღაცა ისეთი ნოვაციებია, შეიძლება ეს ტექნიკური პროგრესიდან გამომდინარეა, შეიძლება ძველი მენტალიტეტის რეციდივების შედეგად. იგივე ეს კომპიუტერული თამაშები, ლურჯი ვეშაპი და ასე შემდეგ. რაღაცა ახალი ტიპის მოზარდები ჩამოყალიბდნენ, ბევრად განსხვავებული წინა თაობისგან. აი ამას უნდა მიექცეს ყურადღება. ამას სჭირდება კონტროლი, ოღონდ ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ პოლიციური რეჟიმი უნდა დავამყაროთ სკოლებში, არა! კარგია, რომ ამ ახალ მინისტრს ეს კარგად ესმის.

– ამის რეცეპტი არ არსებობსო, მაგრამ მაინც, კერძოდ, რა უნდა გაკეთდეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

– საჭიროა საუბარი, ბევრი საუბარი მოზარდებთან. იმაზე თუ რა არის მისაღები და დადებითი. რა არის პრიორიტეტი და რა არის თანამედროვეობის დამახასიათებელი. აი ეს უნდა ჩავუნერგოთ მოზარდებს. ზოგიერთი უკუღმა აღიქვამს ყველაფერს. მაგალითად, როდესაც ლაპარაკია ნარკოტიკის ლიბერალიზაციაზე, ეს ბევრს პირდაპირი გაგებით ესმის. ეს კარგ ტონად მიაჩნიათ. არადა ასე არ არის, მოზარდმა უნდა იცოდეს, რა უნდა ითვლებოდეს კარგ ტონად.

– ეწინააღმდეგებით ნარკოტიკის ლიბერალიზაციას?

– არა, ამის მომხრე მეც ვარ, მაგრამ ამას აუცილებლად თან უნდა სდევდეს ის, რომ ნარკოტიკების მოხმარება არის ცუდი! ჩვენ მას უნდა ვუმკურნალოთ და არა ის, რომ უი, რა კარგ ტონად ითვლება. ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა მიდიოდეს, ამის პროპაგანდა მიდის. დღეს საქართველოს ჰყავს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ადამიანი, ლაშა ტალახაძე! ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა. ამაზე კი არ საუბრობენ. გამოდიან და თეთრი ხმაური, ჩვენ გვინდა ნარკოტიკების მოხმარების თავისუფლება, ნარკოტიკის ლეგალიზაციაო აქციებს მართავენ. მოზარდი უყურებს და ფიქრობს, რომ ამდენი ხალხი გამოდის, ე.ი. ეს უკეთესია. აი რა უნდა შეიცვალოს. ცოდვას მადლი არ უნდა დავარქვათ და მადლს – ცოდვა!

დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტროში ნეპოტიზმი ყვავის“

გულიკო ბალაძე

რა ხდება სამხედრო აკადემიაში? ფარავენ თუ არა თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები კრიმინალურ ქმედებებს და სადისციპლინო გადაცდომებს? სამხედრო უფლებადამცველი დავით ნემსაძე სამხედრო აკადემიის რექტორსა და თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციის თანამშრომლებს აკრიტიკებს.

– სამხედრო აკადემიის უფროსმა ზაზა ჯაფარიძემ, გამოგონილი რეორგანიზაციის მოტივით, სამსახურიდან მოტყუებით მძღოლები დაითხოვა, მათ მაგივრად კი მისი კლასელი, გვარად შავდათუაშვილი დანიშნა. ასევე ტაძრის ასაშენებლად გამოყოფილი ადგილი (აკადემიის კუთვნილება) მეგობარს საკალმახის მოსაწყობად გადასცა, – აცხადებს დავით ნემსაძე.

– ბატონო დავით, სამხედრო აკადემიის რექტორს აკრიტიკებთ?

– დიახ, რაც გითხარით, ყველაფერი არ არის. აკადემიის საცურაო აუზი კურსანტებისთვის იხურება მაშინ, როდესაც მისი შვილი (რომელიც შემხებლობაში არ არის სამხედრო აკადემიასთან) შედის საცურაოდ. ვისზეცაა გათვლილი ეს საცურაო კომპლექსი (ანუ კურსანტებისთვის), მათ იქ არ უშვებენ.

ზაზა ჯაფარიძის ოჯახს ემსახურება ორი მანქანა, რაც კანონის უხეში დარღვევაა. მას სურს 100-მეტრიან ეროვნულ დროშას შეუცვალოს ადგილი, რაც დაახლოებით ათეულობით ათასი დოლარი დაჯდება.

– აცხადებთ, სამსახურიდან გარკვეული პირები დაითხოვაო.

– დიახ, მან დაითხოვა მძღოლები. ასევე სამსახურიდან გააგდო მრავალშვილიანი მამა, მაიორი კობა გზირიშვილი, ხოლო სამსახურში მიიღო ბაზაზე, ასეულში თანხის შემგროვებელი ირაკლი შაიშმელაშვილი, რომელსაც პირადი შემადგენლობა სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში ადებდა ხელს. ზაზა ჯაფარიძის დანაშაულებრივი განკარგულებით, სამხედრო აკადემიის ტერიტორიაზე არ უშვებს სამხედრო პოლიციის წარმომადგენლებს.

– ვინ არ შეუშვა?

– ასეთი იყო სერჟანტ თვაურის შემთხვევა. ზაზა ჯაფარიძე წარმოადგენს ნიკოლოზ ჯანჯღავასა და მალხაზ მაკარაძის კლანს.

– რა კლანია ასეთი?

– დიახ, კლანს წარმოადგენს. აკადემიაში ყვავის ნეპოტიზმი. განათლების და საბრძოლო მომზადების დონე მკვეთრად დაეცა. სამხედრო საგნები თითქმის ამოღებულია სასწავლო პროგრამიდან. აკადემიის დასრულების შემდეგ, კურსანტებს აძლევენ რაღაც მენეჯერის გაურკვეველ დიპლომს. ეს მაშინ, როცა სამხედრო აკადემია მენეჯერების მაგივრად ოფიცრებს უნდა ზრდიდეს.

– ანუ თქვენ აცხადებთ, რომ სამხედრო აკადემიის უფროსმა, რეორგანიზაცია არ ტარდებოდა და მძღოლები ისე გაუშვა სამსახურიდან? იქნებ მართლა რეორგანიზაცია ტარდებოდა?

– არა, რეორგანიზაცია არ ტარდებოდა. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე პირი დამიკავშირდა. ინფორმაცია მომაწოდეს პრობლემების თაობაზე, თან მთხოვეს, პირველ ეტაპზე კონფიდენციალობა შევინარჩუნო მათ სახელებთან და გვარებთან დაკავშირებით. შემდეგ ოფიციალურადაც მომცემენ ინტერვიუებს.

– სათანადო დოკუმენტები გაქვთ? დარწმუნებული ხართ, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება?

– გარკვეული მასალებიც მაქვს. გენერალური ინსპექციის გადაწყვეტილებებს ველოდები. მზად ვარ, ამ ხალხთან ვითანამშრომლო, მივაწოდო ინფორმაცია.

– ვისთან ითანამშრომლებთ, გენინსპექციასთან?

– ვითანამშრომლებ თუ მოკვლევა დაიწყება. თუმცა, თავდაცვის სამინისტროში მისვლას და გენერალური ინსპექციისთვის ახსნა-განმარტებითი ბარათების მიცემას არ ვაპირებ.

– რატომ? აბა, თანამშრომლობა რას ნიშნავს?

– არ ვაპირებ მისვლას, გამომდინარე იქიდან, რომ მე ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე, „შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის ჯგუფს“ წარმოვადგენ. მე სამოქალაქო ლუსტრაციის ფარგლებში საჯაროდ მივაწვდი მათ ყველა ინფორმაციას და დოკუმენტაციას, რაც მექნება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კადიროვი საქართველოში შემოსაჭრელად ემზადება“

„მივმართავ ხელისუფლებას, იქნებ ახლა მაინც გამოხვიდეთ კეთილების გინების ხიბლიდან“

შორენა მარსაგიშვილი

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაური რამზან კადიროვი აცხადებს, რომ საქართველოში იმყოფებიან ტერორისტები, რომლებიც სხვებთან ერთად რუსეთზე აპირებენ თავდასხმის მოწყობას. ჩეჩნეთის მეთაური ამბობს, რომ ის საქართველოში მყოფ ტერორისტებთან საბრძოლველად მზად არის.

ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე მიიჩნევს, რომ ამ განცხადებას საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალური სიფრთხილით უნდა მოეკიდოს. რას უნდა ველოდოთ კადიროვისგან და რა საფრთხეები ელოდება ქვეყანას? – ამ თემებზე ბარამიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე:

– 24 დეკემბერს ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურმა რუსულ მედიასთან მეტად მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, სირიაში მართალია წარმატებით დასრულდა ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებთან ბრძოლა, მაგრამ მათი მეთაურები, დასავლეთის სპეცსამსახურების მითითებით, რუსეთსა და ჩეჩნეთზე თავდასხმისთვის ემზადებიან.

კადიროვის განცხადებით, ტერორისტები უკვე იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და ისინი ძალიან მალე წამოვლენ ჩეჩნეთისკენ. ჩვენ ამისთვის მზადა ვართ. ეს ძალიან სახიფათო განცხადებაა.

ყველას მინდა გავახსენო, რა ხდებოდა 1999-2002 წლებში პანკისის ხეობაში, მინდა გაგახსენოთ ლაფანყურის სპეცოპერაცია და სულ რაღაც ერთი თვის წინ თბილისში დატრიალებული ამბები, ისანში ჩატაევს და მის თანამებრძოლებს ლაბირინთები და საცეცხლე წერტილები რომ ჰქონდათ მოწყობილი.

ამ ყველაფერთან ერთად ხელისუფლებას მინდა შევახსენო ისიც, რომ საზღვრის კონტროლს ვერ ახერხებენ – ისე შემოვიდა ჩატაევი და ისე შემოიტანა არსენალი, კაცი შვილმა ვერ გაიგო. აქ არც იმას გამოვრიცხავ, მას კონკრეტული პირები დაეხმარნენ, აქ რომ შემოსულიყო. არ არის გამორიცხული, რომ ჩატაევის დაჯგუფების მსგავსი დაჯგუფებები მართლაც იყვნენ საქართველოში.

მინდა ყველამ მიაქციოს ყურადღება იმ ფაქტს, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი და, მით უმეტეს, კადიროვი, განცხადებებს შემთხვევით არ აკეთებს.

მივმართავ ხელისუფლებას, იქნებ ახლა მაინც გამოხვიდეთ კეთილების გინების ხიბლიდან და ახლა მაინც იფიქროთ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაზე. ხართ ამ ყველაფრისთვის მზად? იქნება არიან სახელმწიფო ინსტიტუტებში ჯგუფები, რომლებიც ფინანსური ინტერესების გამო ხელს უწყობენ ტერორისტების გამოზამთრებას.

– ბოევიკებს საქართველოში გამოზამთრების საშუალება წლების მანძილზე ჰქონდათ. მერე ეს თითქოს წარსულს ჩაბარდა.

– შემთხვევით არ გითხარით, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებში შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც ფულის გამო მზად არიან, ტერორისტებს საქართველოში გამოზამთრების საშუალება მისცეს.

კიდევ ერთხელ დავუბრუნდები კადიროვის განცხადებას და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ კადიროვი ასეთ განცხადებებს შემთხვევით არ აკეთებს. მე მიჩნდება ასეთი კითხვა, რამეს ხომ არ ამზადებენ საქართველოს წინააღმდეგ. მით უმეტეს, რომ მათ კარგად დაინახეს ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტების აბსოლუტური სიბეცე, არაადეკვატურობა და ამჩატება.

– რამდენჯერმე გაიმეორეთ, რომ კადიროვი საქართველოში ტერორისტების ყოფნაზე განცხადებას შემთხვევით არ გააკეთებდაო. კიდევ რაღაც არის თქვენთვის ცნობილი?

– ცნობილი რა, ვიცი, რომ კადიროვი ასეთ განცხადებებს შემთხვევით არ აკეთებს. ასეთ განცხადებებს ყოველთვის მოსდევს ქმედებები. შესაძლოა, ტერორისტების თემა საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციების მოსაწყობად იქნას გამოყენებული. არ გამოვრიცხავ, რომ რიგ რეგიონებში არეულობაც მოაწყონ.

ამ შემთხვევაში ისინი პანკისით არ შემოიფარგლებიან. ან რატომ უნდა წავიდნენ პანკისში, როცა თბილისში გააკეთებენ იმას, რაც უნდათ. რის იმედზე ვართ, როცა ერთმა ნიკა მელიამ მთელი მთავრობა გაიფარჩაკა. მთავრობიდან ერთი კაცი იგინებოდა კეთილებს, ხოლო დანარჩენები ცუციკებივით გაიპარნენ.

ერთი კაცის მხრიდან კრიტიკას ვერ გაუძლეს და სერიოზულ პროვოკაციებს როგორ გადაიტანენ? არიან მზად იმისთვის, რომ არეულობები აღკვეთონ? ხალხის შეშინება არ მინდა და ამიტომ არ ჩამოვთვლი რეგიონებს, სადაც ადვილად შეიძლება პროვოკაციის მოწყობა. ასეთი რეგიონი რამდენიმეა. თუმცა რაღა რეგიონებში მივდივართ, დედაქალაქშიც მშვენივრად დაშლიგინებენ ტერორისტები.

ტერორისტებს თავი დავანებოთ, ყველა კუთხეში იარაღის ტრიალია. დღე ისე არ გავა, ვინმე არ მოკლან. ამ ფონზე კიდევ ნარკოტიკების ლეგალიზებას ითხოვენ. ან ეს სამართალდამცავები კვირაში ერთხელ რომ ატარებენ ფონიჭალაში სპეცოპერაციას და დენიკინის დროინდელ მოხუცებს აკავებენ – ნარკომოვაჭრეაო, იმ ხაზის შესახებ რატომ არაფერს გვეუბნებიან, საიდანაც ნარკოტიკები შემოდის.

ისევ კადიროვის განცხადებას დავუბრუნდები, მეგონა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს ამაზე 24 დეკემბერსვე ექნებოდათ რეაქცია. 24-ს ვინ ჩივის, არც 25 დეკემბერს მოიცალეს ამაზე სასაუბროდ.

– შესაძლოა თვლიან, რომ კადიროვი არასერიოზული ფიგურაა და ამიტომ არ რეაგირებენ.

– აქ რომ შემოიჭრება და რაღაცებს მოუწყობს, მერე დაიჯერებენ, რომ ის შემთხვევით არაფერს ამბობს. აქვე დიდი წუხილით მინდა გითხრათ, რომ პანკისის ხეობის მოსახლეობის ნაწილი მას უფრო დიდ პატივს სცემს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებას.

„ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც ტერორისტებს საქართველოში გამოზამთრების საშუალებას აძლევენ“

2013 წელს მე დავიწყე საუბარი იმაზე, რომ საქართველოს მოქალაქეები სირიაში წავიდნენ საბრძოლველად. ამაზე სპეცსამსახურებიდან ერთერთმა წამოიკნავლა, რომ იქ შესაძლოა საქართველოს 2-3 მოქალაქე იყოს მხოლოდ. მე ვამტკიცებდი, რომ მათი რაოდენობა რამდენიმე ასეული იყო. ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი, როგორც ეს ახდა.

მეგონა, რომ ამ განცხადების შემდეგ მაინც მიაქცევდნენ ამ საკითხს ყურადღებას. არ მიაქციეს და შედეგად მივიღეთ ჩატაევი, რომელმაც საქართველოში იარაღის არსენალი შემოიტანა.

იმ ამბებიდან ერთი თვე გავიდა და დღემდე არ გვეუბნებიან, როგორ შემოვიდა ის საქართველოში. მათ ბედზე პარლამენტში ინციდენტი მოხდა და მთელი ყურადღება პრემიერის გინებაზეა გადატანილი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მგელ ტოტიასავით მიატოვა.

მეეჭვება, ასეთი ხალხი იმ გამოწვევისთვის მზად იყოს, რაც კადიროვის განცხადებიდან მოდის. სერიოზულად მეშინია, იგივე არ მოხდეს პანკისში, რაც წლების წინ იყო. თუმცა ეს პრობლემა ისე ღრმად არის წასული, რომ საფრთხის წინაშე შესაძლოა დედაქალაქი აღმოჩნდეს. ეს პრობლემები ცხვირწინ არის და ქალაქის მერი მოქალაქეებს გირლიანდებით აივნების და ფანჯრების მორთვისკენ მოუწოდებს.

მოსახლეობის დიდ ნაწილს პურის ფული არა აქვს და გირლიანდები როგორ უნდა იყიდოს. მილანიც კარგია, სამტრედიული ენერგიაც, მაგრამ თბილისურ რეალობასაც უნდა გავუსწოროთ თვალი. კარგი იქნება, თუ კახა კალაძე პატრიარქს არ გაუტოლებს თავს.

– პატრიარქს რაში გაუტოლა თავი?

– წლების წინ, უწმინდესმა გვითხრა, რომ შობის ღამეს ფანჯრებთან ავანთოთ სანთლები. რამდენიმე წლის შემდეგ, კალაძემ მოგვიწოდა, საახალწლოდ ფანჯრები და აივნები მორთეთო.

აივნების მორთვამდე ბევრი რამეა გასაკეთებელი. პირველ რიგში, ხალხის და სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვა. ვინ არის იმის გარანტი, რომ თბილისში არ არიან ჩატაევის მსგავსი ფიგურები. კიდევ ვიმეორებ, კადიროვი ამას შემთხვევით არ ამბობს. ის რაღაცისთვის ემზადება.

ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. შემოჭრასაც უნდა ველოდოთ – უმჯობესია, ბრძოლა სხვის ტერიტორაზე აწარმოო. კადიროვს ამის გაკეთება შეუძლია, მსოფლიოს წინაშე რუსეთი თავს იმით გაიმართლებს, რომ საქართველოში ტერორისტების წინააღმდეგ სპეცოპერაციის ჩასატარებლად შევარდნენ. აქ სულ რომ არ იყვნენ ტერორისტები, ჩატაევის ამბავი ბევრ რამეს ცვლის. მსოფლიოც იტყვის, სადაც ჩატაევი იყო, იქ შესაძლებელია სხვებიც ყოფილიყვნენო.

ამ განცხადებაზე ხელისუფლება უკვე სერიოზულად უნდა მუშაობდეს. გაწერილი უნდა ჰქონდეთ გეგმა, საიდან რა საფრთხე გველოდება. ამაზე არც მომავალში იმუშავებენ, ჩვენ ხომ ძალიან მაგრები ვართ და არც ჩრდილოელი მეზობლის ტანკების გვეშინია და არც სამხრეთელის. ჩვენ ხომ ყველას კეთილებს მოვ------თ.

დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ – თალაკვაძე, მდინარაძე, გეგიძე და ენუქიძე ახალ ფრაქციებზე ვერ შეთანხმდნენ

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან ფრაქციების ფორმირების საკითხზე გამართული კონსულტაცია გუშინ გვიან საღამოს ისე დასრულდა, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე დეპუტატები ვერ აკონკრეტებენ, როდის მოხდება ახალი ფრაქციების დარეგისტრირება და რა შემადგენლობით ჩამოყალიბდება ფრაქციები.

არჩილ თალაკვაძის სამუშაო კაბინეტში სამი საათის განმავლობაში გაგრძელდა მოლაპარაკებები, რომელშიც მამუკა მდინარაძე, ბიძინა გეგიძე და გოჩა ენუქიძე მონაწილეობდნენ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ მათ მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ფრაქციების რეგისტრაცია უახლოეს პერიოდში მოხდება და ამის შემდეგ გახდება ცნობილი ფრაქციებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

– დაველოდოთ ფრაქციების დარეგისტრირებას, რაც უახლოეს პერიოდში მოხდება. ეს შეიძლება იყოს ხვალ ან შეიძლება უახლოეს პერიოდში. ეს არის სამომავლო გეგმის ნაწილი, – განუცხადა ჟურნალისტებს უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ.

გუშინდელ შეხვედრაზე საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო უმრავლესობაში ორი ახალი ფრაქციის შემადგენლობა და მათთან დაკავშირებული დეტალები.

დღეს დაგეგმილია ბიუროს სხდომა, თუმცა, უცნობია, გავა თუ არა საკითხი ბიუროზე.

* * *

შეხვედრის დაწყებამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ უმრავლესობის ახალ ფრაქციაში „ქართული ოცნება – ძლიერი ეკონომიკა“, რომელიც გოჩა ენუქიძის ხელმძღვანელობით იქმნება, 4 დეპუტატი ფრაქცია „ქართული ოცნებიდან“, ხოლო 2 – კახა ოქრიაშვილის 6-კაციანი ფრაქციიდან გადადის.

გოჩა ენუქიძის ფრაქციაში, შესაძლოა, დეპუტატები პაატა მხეიძე და გოდერძი ჩანქსელიანი გაერთიანდნენ, რომლებიც ამჟამად კახა ოქრიაშვილის ფრაქციის „ქართული ოცნება – რეგიონების განვითარებისთვის“ წევრები არიან. ვარაუდობენ, რომ ენუქიძის ფრაქციაში ასევე იქნებიან მაჟორიტარები: ირაკლი ხახუბია, ოთარ დანელია, ილია წულაია.

ვინაიდან მხეიძე და ჩანქსელიანი კახა ოქრიაშვილის ფრაქციის წევრები არიან, ოქრიაშვილის ფრაქცია, თუკი 2 ახალი დეპუტატი არ დაემატება, დაიშლება.

როგორც ამასთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსს“ ოქრიაშვილმა განუცხადა, მისი ფრაქციის დაშლის არავითარი საფრთხე არ არსებობს, რადგან ორი წევრის გადასვლის შემთხვევაში, მოხდება მათი სხვა დეპუტატებით შევსება და ფრაქცია ფუნციონირებას ჩვეულებრივ გააგრძელებს.

რატომ არ მივიდა ეპისკოპოსების ნაწილი პატრიარქის აღსაყდრების საზეიმო წირვაზე

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 25 დეკემბერს, ილია II-ის აღსაყდრებიდან 40 წელი გავიდა. რამდენიმე დღეში კი ჩვენს პატრიარქს 85 წელი შეუსრულდება. ბოლო დროს აქტიურად მიდიოდა საუბარი იმაზე, რომ ილია II პატრიარქობიდან გადადგომას აპირებდა.

პირველად ეს ინფორმაცია რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. ციანიდის სკანდალიდან ცოტა ხანში უწმინდესმა მოითხოვა, რომ მის აღსაყდრებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ყველა საზეიმო ღონისძიება გაეუქმებინათ.

23 ნოემბერს მან უკვე მოსაყდრეც დაასახელა. ხმები მისი შესაძლოა გადადგომის შესახებ კიდევ უფრო აქტუალური გახდა. პატრიარქის მიერ მოსაყდრის გამოცხადებას, სინოდის წევრების უკმაყოფილება მოჰყვა. რამდენიმე ეპისკოპოსი მოსაყდრის დასახელებამ ძალიან გააღიზიანა.

ვარაუდი პატრიარქის გადადგომის შესახებ არ გამართლდა, მოსაყდრის დასახელების გამო დაწყებული უთანხმოება კი გრძელდება. ილია II-ის აღსაყდრების 40 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო წირვას რამდენიმე ეპისკოპოსი არ დასწრებია.

საზეიმო წირვას ქორეპისკოპოსი იაკობი, მეუფე ზენონი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრე და პატრიარქის ძმისშვილი – მეუფე დიმიტრი არ ესწრებოდნენ.

საპატრიარქოს წარმოუდგენლებს მათი მიუსვლელობის მიზეზები არ დაუკონკრეტებიათ. ამასთან ისინი კატეგორიულად გამორიცხავენ სინოდში რაიმე განხეთქილებას.

– 5-6 მღვდელმთავარი არ არის და ეს რატო ნიშნავს განხეთქილებას? ყოფილა წირვა, როდესაც შეიძლება ოცი მღვდელმთავარი არ ყოფილა. ყველა ვერ შეიკრიბება... ზოგი უცხოეთში არის, ზოგის ჯანმრთელობის საკითხია. ამაზე მეტი რა გინდათ, 46-დან 42 მღვდელმთავარია, რა განხეთქილებაზეა საუბარი, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში მეუფე ანტონი.

პატრიარქმა აღსაყდრების 40 წლისთავთან დაკავშირებით უამრავი მილოცვა მიიღო. ილია II მილოცვა მსოფლიო პატრიარქისგანაც მიიღო.

– უნეტარესო და უწმინდესო, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო და ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტო. ქრისტე ღმერთში ფრიად საყვარელო და სასურველო ძმაო. თქვენს პატივცემულ უნეტარესობას უფალში ძმურად ვეხვევით და განსაკუთრებული სიყვარულით მივესალმებით. ფრიად საყვარელო თქვენო უნეტარესობავ, დიდი სიხარულით მოგმართავთ და ჩვენ მიერ დაწერილი საპატრიარქო წერილით მსოფლიო საპატრიარქო და პირადად მე, გულითადად მოგილოცავთ საქართველოს უწმინდესი ეკლესიის საჭეთმპყრობლად თქვენი არჩევის 40 წლის აღვსებას და ბედნიერი დაბადების დღის 85 წლისთავს.

დღემდე ბრწყინვალედ მსხმოიარეს სიბრძნით, რწმენით, პასუხისმგებლობით და სიყვარულით სავსე მსახურებით, რომელიც თქვენს უწმინდეს ეკლესიასა და თქვენდამი რწმუნებულ ღვთის ბრძენ ერს სიყვარულით მიუძღვენით. ასევე ვლოცულობთ, რათა ეკლესიის ზეციურმა შემოქმედმა მის სადიდებლად მოგანიჭოთ დარჩენილი ცხოვრების ხანგრძლივი ჟამი მწუხარების გარეშე, ჯანმრთელი და სიკეთით სავსე. ამ განწყობით და წმინდა ამბორით სავსე გეხვევით თქვენო უნეტარესობავ და ქრისტესმიერი სიყვარულითა და განსაკუთრებული პატივისცემით ვრჩებით, – აღნიშნულია მსოფლიო პატრიარქის მილოცვაში.

ილია II-ს აღსაყდრების 40 წლისთავი რუსეთის პატრიარქმა კირილმაც მიულოცა. მსოფლიო პატრიარქისგან განსხვავებით, მას ილია II-ის სრული ტიტულით მოხსენიება დაეზარა.

– თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, უფლისმიერ საყვარელო და სანატრელო ძმაო, გულითადად გილოცავთ როგორც თქვენ, ისე საქართველოს, ეკლესიის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავ დღეს, საპატრიარქო ინტრონიზაციის 40 წლისთავს. 4 ათეული წლის წინ ღვთის ნებითა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, თქვენ ახვედით უწმინდესთა და უნეტარესთა, კათოლიკოს პატრიარქთა ტახტზე.

მთელი ამ წლების განმავლობაში მაცხოვრის შეწევნით თქვენ აღასრულეთ მაღალი მსახურება, სიწმინდით, მეცნიერებით და სულგრძელობით, სიტკბოებით და სულიწმინდით, სიყვარულით, ჭეშმარიტების სიტყვით, ღმრთის ძალით, საჭიროითა სიმართლითა, მარჯვენისაითა და მარცხენისაითა. ის, რომ იბერიის წმინდა მიწაზე ოდესღაც წმინდა ნინოს ღვაწლით დანერგილმა ჭეშმარიტი რწმენის მარცვალმა ასეთი უხვი ნაყოფი გამოიღო, თქვენი უწმინდესობის და უნეტარესობის პირადი დამსახურებაა.

როდესაც შეუდექით საპატრიარქო მსახურებას, თქვენ იყავით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მღვდელმთავარი, დიდი გზა განვლეთ და აწ უკვე ბრძანდებით ეკლესიის მეთაურობის ხანგრძლივობით მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში ყველაზე უხუცესი საჭეთმპყრობელი. თქვენი სიტყვა ავტორიტეტული და მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც გიცნობთ და უყვარხართ, ვინც თქვენთვის ლოცულობს და ვინც თქვენგან კურთხევას ითხოვს. წმინდა პავლე მოციქული მოწმობს, შეიძლება მრავალი მზრდელი გყავდეთ ქრისტეში, მაგრამ არა მრავალი მამა, ჭეშმარიტად თქვენ ბრძანდებით სულიერი მამა მრავალთა და საქართველოს ეკლესიის მრავალი სულიერი შვილისა, იერარქებისა, სამღვდელოთა და საეროთა, თქვენ დაუღალავად ზრუნავთ სამწყსოს დასაპურებლად, მოუწოდებთ და შთააგონებთ რა მათ იცხოვრონ სახარებისეული ცნებებით.

მართლმადიდებელ საქართველოს მომავალზე ზრუნვის გამო თქვენ წმინდა ნათლობით გახდით ნათლია მრავალშვილიანი ოჯახების ათასობით ბავშვისა, რითაც კეთილი საფუძველი გაუმზადეთ ქართველი ერის ბედნიერ მომავალს, – ვკითხულობთ რუსეთის პატრიარქის მილოცვაში.

კირილის მილოცვამ ბირმინგემის, მანჩესტერის და გლაზგოს ქართული სამრევლოების წინამძღვარი, დეკანოზი ილია ჭიღლაძე აღაშფოთა. დეკანოზი მიიჩნევს, რომ პატრიარქი კირილი გვკბენს.

– მსოფლიო პატრიარქის, კონსტანტინოპოლელ ბართლომეოსის მილოცვაში ჩვენი პატრიარქი სრული ტიტულით იყო მოხსენიებული, მოსკოვის პატრიარქი კირილე კი ჯიუტად არიდებს თავს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად მის მოხსენიებას... დასკვნა თქვენ გააკეთეთ... როდესაც ქართველები თავს ინუგეშებთ, მოსკოვის პატრიარქი ჩვენი ეკლესიის ტერიტორიულ ერთიანობას ცნობსო, ესაა მისი სიტუაციური სვლა, გამომდინარე საეკლესიო კონიუნქტურიდან, თუმცა ათზე მეტი რუსი და აფხაზი მღვდელი ჰყავს ხელდასხმული და გაგზავნილი მოსკოვის საპატრიარქოს აფხაზეთში, მირონი და ოდიკიც არ აკლდებათ მოსკოვიდან. მახსენდება ელცინის და პუტინის რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის „მხარდაჭერა და აღიარება“ 1992-2007 წლებში, როცა სიტყვა და საქმე დიამეტრულად სხვაობდა... პატრ. კირილე კი სიტყვითაც გვკბენს, – წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე დეკანოზი.

ჩვენს პატრიარქს აღსაყდრების 40 წლის იუბილე რომის პაპმა ფრანცისკემ მიულოცა.

– მოხარული ვარ, ძმური სიყვარულით გადმოგცეთ ჩემი მხურვალე მოლოცვა. ვუერთდები თქვენს უწმინდესობას, თქვენს ეკლესიასა და ძვირფას ქართველ ხალხს. ბიბლიის მიხედვით, 40 წელი ის დროა, რომლის განმავლობაშიც, რჩეული ერი, ღმერთმა უდაბნოში ატარა, აღთქმული მიწის დასამკვიდრებლად. თქვენც, თქვენო უწმინდესობავ, ამ 40 წლის მანძილზე უდაბნოში ვლიდით და წინ მიუძღოდით თქვენს ერს, ათეიზმის ხრიოკ ტრამალზე, სანამ კვლავ არ აღმოცენდა და გაიფურჩქნა, რწმენა უფლისა, საქართველოს ოდითგანვე ღვთისკურთხეულ და ურიცხვნამებულთა სისხლით გაჯერებულ, ათას ჭირვარამ გამოვლილ, ჯვრის ნიშით აღბეჭდილ და ქართველი ხალხისთვის დამახასიათებელი თამამი იმედებით გაცისკროვნებულ მიწაზე. ძვირფასო ძმაო! გულში ცოცხლად ვინახავ ხსოვნას, თქვენი ქვეყნის სულიერების, ქრისტიანობისა და კულტურისა, რომლის გაცნობის და დაფასების საშუალება მომეცა, ჩემი შარშანდელი ვიზიტის დროს. მადლობას ვუძღვნი უფალს, რომ მომმადლა წყალობა, პირადად გამეცანით და წმინდა ძმური ამბორით გადაგხვეოდით. მადლიერი ვარ უფლის, იმ მღელვარებისა და სიხარულისთვის, რომელსაც ის შეხვედრა და თქვენი პიროვნება დღესაც აღძრავს ჩემში. შობის წინა დღეებში, თქვენს 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მსურს ჩვენს საერთო მამას, ვთხოვო მოგმადლოთ ჯანმრთელობა, ნუგეში, სულიერი სიხარული და შინაგანი ძალა, არ მოაკლოს თავისი უხვი წყალობა, თქვენს ძვირფას მსახურებას და თქვენს სიცოცხლეს.

განსაკუთრებით კი მსურს დაგარწმუნოთ, რომ საქართველოში კათოლიკურ ეკლესიასთან ერთად, გამუდმებით ვილოცებ თქვენი უწმინდესობის და უნეტარესობისთვის. ვთხოვ უფალს, რომ თქვენს გულში მეც მიმიჩინოს ადგილი და ვიმედოვნებ, რომ როგორც სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დაუვიწყარი ვიზიტისას ითქვა, ლოცვა და სიყვარული შეგვაძლებინებს, აღვასრულოთ ის, რაც უფალმა თავის მორწმუნეებს უსურვა, მოციქულთა სიტყვის მეშვეობით – რათა ყოველი ერთ იყვნენ, – ნათქვამია რომის პაპის მილოცვაში.

პატრიარქმა მილოცვები საერო პირებისგან, მათ შორის ინგლისის დედოფლისგანაც მიიღო. ილია II-ს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც მიულოცეს.

სამადლობელი თქვა პატრიარქმაც. მისი თქმით, ეს 40 წელი იყო უმძიმესი წლები.

– ჩემთვის, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა ეს მოლოცვები. მე ყველას დიდ მადლობას ვუძღვნი. მინდა ვთქვა, რომ ეს 40 წელი იყო, უმძიმესი წლები, მაგრამ ღვთის წყალობით, ღვთის ლოცვა-კურთხევით და დახმარებით, ჩვენ განვვლეთ ეს წლები და შევასრულეთ 40 წელი. მე ვერ შევძლებდი ამის ატანას, ამის შესრულებას, თქვენი დახმარება და თქვენი სიყვარული რომ არ ყოფილიყო. თქვენმა სიყვარულმა ამატანინა მე ეს სიმძიმე. მე მადლობელი ვარ ყველა ადამიანისა, რომელიც ლოცულობს ჩემთვის და ჩემთვის ეს ძალიან ძვირფასია, – ბრძანა ილია II-მ.

* * *

საზეიმო წირვის შემდეგ, საზეიმო ტრაპეზიც გაიმართა. სადაც, როგორც ამბობენ, საგანგებოდ მიიწვიეს გიგა ბოკერია. ამის შესახებ ინფორმაცია ანალიტიკოსმა გოჩა მირცხულავამ გაავრცელა.

– საპატრიარქოში გასამართი ტრაპეზის სიაში ბევრი პოლიტიკოსი და „ფეისი“ ვერ მოხვდა. სია ვინ გააკეთა, ამას ნუ მკითხავთ. შემდეგ მოხდა სიის შემდგენთათვის ერთი უხერხული და გაუთვალისწინებელი ფაქტი – პატრიარქმა თავად ისურვა პირადად მიეწვია სამი პერსონა. ჰოდა, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ამ სამი ადამიანიდან ერთ-ერთი გიგა ბოკერია აღმოჩნდა.

ასეა საქმე და იძახეთ ახლა, ბოკერიამ ეკლესია დაანგრიაო. ყალბი პოპულიზმი. ამას რომ იძახდით, ისინი ხართ მანდ ტრაპეზზე?

(სხვათა შორის, ეკლესია კი არ დაანგრია, იმ „ტაძარში“ ეკლესიის წინააღმდეგ განწყობილი სექტანტები იყვნენ. და პატრიარქს რომ გმობდნენ, გახსოვთ?). ამიტომ, ვისი სანთელი შეიწირება და ვისი ქმედება დაფასდება, არავინ ვიცით.

ჰო, კიდევ ის, რომ სიის შემდგენლები თუ მოახდენენ იმის ციტირებას, რაც ბოკერიას შესახებ მანდ პატრიარქმა ბრძანა, უკეთესია. რა ვიცი, იქნებ მე არ დამიჯეროთ, – წერს გოჩა მირცხულავა.

დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტროში ნეპოტიზმი ყვავის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– თავდაცვის სამინისტროში არ მისვლის მიზეზი მხოლოდ ეს არის?

– კიდევ ერთი პატარა მიზეზია. გამომდინარე იქიდან, თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლები არაერთხელ იყვნენ შემჩნეული კრიმინალური ქმედებებისა და სადისციპლინო გადაცდომების დაფარვაში, რომელმაც მიზანმიმართულად შეასუსტა არა მარტო შეიარაღებული ძალების საბრძოლო სულისკვეთება, არამედ შეიარაღებული ძალების საბიუჯეტო ხარჯებს მიაყენა ძალიან სერიოზული პრობლემები, მე ამ ხალხისთვის კონფიდენციალურ ფორმატში არ ვაპირებ ახსნა-განმარტების მიცემას.

– ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის, შეასუსტა შეიარაღებული ძალების საბრძოლო სულისკვეთება და ზიანი მიაყენა მის ბიუჯეტსო რომ ამბობთ?

– არა, კონკრეტული ფაქტები შემიძლია გითხრათ. მაშინ, როცა გენერალური ინსპექციის უფროსი იყო ბაძაღუა, ბატონ იზორიას მეგობარი, მან ძვირადღირებული სამხედრო ქონება – მანქანა დააზიანა, მოახდინა ავარია, დაამტვრია და ლოჯისტიკის ბაზაზე, კონკრეტულად, შეიარაღებისა და ტექნიკის ბაზაზე, მოსკოვის პროსპექტზე ფარულად გაარემონტეს სახელმწიფო ხარჯით. მაშინ ნაწილის უფროსი იყო ვახტანგ კაპანაძის ნათელმირონი ილია ლუტიძე. ამ მანქანის გარემონტება სახელმწიფოს 60 ათასი ლარი დაუჯდა. არ ვისაუბრებ სხვა ზიანზე.

– ვინც დააზიანა, საკუთარი ხარჯით არ გაურემონტებია?

– არა, სახელმწიფომ გაარემონტა. დანაშაული დაფარეს და დაწერეს, თითქოს გენერალური ინსპექციის მძღოლმა მოახდინა ავარია. ეს მძღოლი იყო გენერალური ინსპექციის უფროს, ბატონ ბაძაღუას სიძე. ასე დაიფარა დანაშაული. არც მის მძღოლს და არც – სხვას, ის მანქანა თავისი ხარჯით არ გაურემონტებია. ის მანქანა გაარემონტა შეიარაღებული ძალების ბიუჯეტმა. ამიტომ იმ ხალხს ვერ მივცემ ვერანაირ ოფიციალურ განმარტებას. აგერ არის საზოგადოება, აგერ არის პროკურატურა, აგერ ვარ მე, აგერ არის თავდაცვის სამინისტრო და გამოიძიონ.

– თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციასთან ურთიერთობის როგორი ფორმატია?

– არანაირი ფორმატი არ არის ჩვენსა და თავდაცვის სამინისტროს შორის. უბრალოდ, ის ხალხი, ვინც დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, მოდის და ითხოვს დახმარებას. ჩვენ საჯაროდ ვაწვდით ინფორმაციას საზოგადოებას, საქართველოს მთავრობას. ვინც აკონტროლებს თავდაცვის სამინისტროს, მათ, ეტყობა, კითხვები აქვთ სამინისტროს ხელმძღვანელობასთან. პირადად იზორიას მოვუწოდებ (მე მისი მტერი არ ვარ) ნებისმიერ დროს შეუძლია იქონიოს ჩემთან კონსტრუქციული დიალოგი, მაგრამ ყოველთვის დავსვამ კითხვებს, როგორ გახდა სამოქალაქო პირი ლელა ჩიქოვანი თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში გენერალი, ან ნეპოტიზმი რატომ ყვავის თავდაცვის სამინისტროში, ლელა ჩიქოვანმა როგორ დაასაქმა მისი 24 წლის შვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში, განყოფილების უფროსად? ლელა ჩიქოვანმა მისი შვილის ნათლია როგორ დანიშნა თავდაცვის მინისტრ იზორიას ადმინისტრაციის უფროსად? ან მისი და როგორ დააწინაურა შეიარაღებული ძალების კადრების სამსახურში, ხოლო მისი სიძე როგორ დააწინაურა ანალოგიურად? ასეთი კითხვები გვექნება. ეს არის ძირგამომთხრელი საქმიანობა არმიის საბრძოლო სულისკვეთების გაძლიერების გზაზე. ასეთი კითხვები ყოველთვის გვექნება.

– კითხვები კი არა, სულ მთლად მოთხარეთ თავდაცვის სამინისტრო.

– არ მომითხრია. თუ მე ვტყუივარ, ლელა ჩიქოვანი გამოვიდეს და თქვას, რომ გენერალი არ გამხდარა სამოქალაქო ოფისში, გამოვიდეს და თქვას, რომ მისი 24 წლის შვილი არ დაუნიშნავს სუსში, მისი და და სხვა ნათესავები არ დაუნიშნავთ თავდაცვის სამინისტროში.

– სამხედრო გენერალია?

– სამოქალაქო გენერალი არ არსებობს.

– იუსტიციის გენერალიც ხომ არის?

– იუსტიციის გენერალიც გასამხედროებული პირია ნებისმიერ შემთხვევაში. ეს მაღალი რანგის სამხედრო წოდება კი არ არის, არამედ უმაღლესი რანგის სამხედრო წოდებაა.

– სამოქალაქო ოფისში ლელა ჩიქოვანის გენერლობა გაგიკვირდათ?

– არაფერი მიკვირს, მე ვამბობ, რომ სახელმწიფოსა და არმიისთვის ეს არის ნაკლი.

მირიან მირიანაშვილი: „მომავალი წელი საქართველოს პოლიტიკური სისტემისთვის რევოლუციური ცვლილებების წელი იქნება“

რა იგეგმებოდა საქართველოში სააკაშვილის მონაწილეობით

მარიამ მჭედლიშვილი

რას გეგმავდა რუსეთი უკრაინასა და საქართველოში სააკაშვილის მონაწილეობით? რატომ გაკოტრდა ექსპრეზიდენტი პოლიტიკურად? რა გარდატეხაა მოსალოდნელი საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში? რატომ ეკვეცება ფრთები კრემლს საქართველოში? – ამის თაობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, საქართველოს გადარჩენის მოძრაობის ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

მირიან მირიანაშვილი:

– სააკაშვილი პოლიტიკურად სრულიად გაკოტრდა. ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ ის პოლიტიკაში დამთავრდა. მაკვირვებს ექსპერტული თანამეგობრობა საქართველოში, რომელიც ცოტა ხნის წინ გვიმტკიცებდა, რომ სააკაშვილი გაძლიერებულია და ბევრს მიაღწევს. შეიძლება არაინფორმირებული იყო, მაგრამ ინტუიცია მაინც უნდა გქონდეს! პოლიტიკური ალღო რომ ჰქონოდათ, ე.წ. ექსპერტები სააკაშვილის უძლეველობაზე არ ისაუბრებდნენ. ის ვითომ ანალიტიკოსები, რომლებიც სააკაშვილის სიძლიერეზე ალაპარაკდნენ, ან პოლიტიკის აზრზე არ არიან, ან რუსეთის საქმეს აკეთებენ. საბოლოოდ მოხდა ყველაფრის ლუსტრირება და იმის კიდევ ერთხელ გამოაშკარავება, რომ სააკაშვილი არ არის პროდასავლელი რევოლუციონერი პოლიტიკოსი პოსტსაბჭოთა სივრცეში.

– უკრაინელების უმრავლესობა სააკაშვილს თავიდანვე უნდობლად და კრიტიკულად უყურებდა. ხალხი, რომლისთვისაც სააკაშვილი ანტიპუტინური ფრონტის მეთაური და რევოლუციონერია, საქართველოში არსებობს.

– ვისაც პოლიტიკური პროცესები ოდნავ მაინც აინტერესებს, დიდი ხანია, მან იცის, რომ მიხეილ სააკაშვილი რუსეთიდან იმართება. არაინფორმირებულ ადამიანებზე ვერაფერს ვიტყვი. როცა ადამიანი ვერ ხედავს, რა ხდება, არც უნდა, რაღაც იცოდეს, რა უნდა ქნა? საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება სააკაშვილის პრორუსულობაზე აქცენტს არ აკეთებდა იმიტომ, რომ მისი ბირთვი ისეთივე დირიჟირებულია მოსკოვიდან, როგორც სააკაშვილი. ჩვენი პოლიტიკოსების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი სიმართლეს არ ამბობდა იმიტომ, რომ სპექტაკლში იყო ჩართული. ქართველებს პოლიტიკური დადგმები რომ უყვართ, დიდი ხანია, ვიცით. ახლა ეს ამერიკელებმაც შეამჩნიეს. აშშ-ის სახელმწიფო აპარატში აღიარეს, რომ ქართველებს პოლიტიკური სპექტაკლები იტაცებთ.

– ცოტა ხნის წინ აღნიშნეთ, რომ წინასაახალწლო დღეებში სააკაშვილის მონაწილეობით რუსეთი უკრაინასა და საქართველოში არეულობას გეგმავდა.

– უკრაინამ ამერიკის დახმარებით მოიგერია რუსეთის სპეცსამსახურების მსხვილი ოპერაცია. კრემლმა სააკაშვილი ამ ოპერაციაშიც ჩააბა. მოწინააღმდეგეებმა ოდესის ყოფილ გუბერნატორს ხაფანგი დაუგეს. ამ ხაფანგის დასკვნითი ნაწილი სააკაშვილის უკრაინაში შეჭრა იყო პოლონეთიდან. ამერიკული და უკრაინული ერთობლივი მოქმედებებით რუსეთის ეს ჩანაფიქრი ჩაფლავდა. რუსებს წყალში ჩაეყარათ ის მოსამზადებელი სამუშაო, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში აკეთებდნენ. მოსკოვის გეგმაში შედიოდა არეულობის მოწყობა ჯერ უკრაინაში, შემდეგ – საქართველოში.

„ის ვითომ ანალიტიკოსები, რომლებიც სააკაშვილის სიძლიერეზე ალაპარაკდნენ, ან პოლიტიკის აზრზე არ არიან, ან რუსეთის საქმეს აკეთებენ“

– უკრაინაში რუსეთის ერთადერთი დასაყრდენი სააკაშვილი არ იქნებოდა?

– ბუნებრივია. ბოლოდროინდელმა მოქმედებებმა სააშკარაოზე გამოიყვანა ქვეყნის სახელმწიფო აპარატში დაბუდებული აგენტურა. ეს ადამიანები აქამდე მიძინებულ მდგომარეობაში იყვნენ. ახლა მათი იზოლაცია და დაჭერა მიმდინარეობს. ზაპოროჟიეს მერი სწორედ ამ მოტივით უნდა დაეკავებინათ, მაგრამ გაიქცა – ფანჯრიდან გადახტა. ის რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა გაარიდა შემთხვევის ადგილს. უკრაინაში არეულობას უნდა დართვოდა სიტუაციის გამწვავება დონბასში. სამწუხაროდ, უკრაინის ამ რეგიონში ვითარება უკვე გართულდა.

– კიევში რუსების ძალების განეიტრალებამ ეს ვერ შეაჩერა?

– ვერ შეაჩერა. არეულობა მთელ უკრაინაში უნდა ქცეულიყო ფონად დონბასში ესკალაციისათვის. რუსეთის სპეცოპერაცია კიევში ჩავარდა, მაგრამ აღმოსავლეთ უკრაინაში მაინც დაიძაბა მოვლენები. როცა ერთდროულად იგეგმება სხვადასხვა პროცესი რამდენიმე მიმართულებით, ერთის აღკვეთამ შეიძლება სხვა პროცესი ვეღარ გააჩეროს. რუსეთი საქართველოშიც ასე იქცეოდა – კონფლიქტურ რეგიონებში მოვლენების პროვოცირების წინ ხდებოდა ხოლმე პოლიტიკური დაძაბულობის გამოწვევა თბილისში.

– საქართველოში საახალწლოდ რა უნდა მომხდარიყო?

– უკრაინაში იმიჯშელამაზებული და „მომძლავრებული“ სააკაშვილი უნდა გამოეგზავნათ საქართველოში. იგეგმებოდა ფსევდორევოლუციის გათამაშება და არეულობის ორგანიზება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

– სააკაშვილის ხელისუფლებაში მობრუნება არ იყო განსაზღვრული?

– რუსეთს საქართველოში სჭირდებოდა ახალი პოლიტიკური სურათის, ახალი სისტემის შექმნა. ეს არ ნიშნავდა სააკაშვილის ხელისუფლებაში დაბრუნებას.

– ექსპრეზიდენტს მარტო პროვოკატორის როლი უნდა შეესრულებინა?

– ფაქტობრივად. რამდენიმე წყაროდან ვიცი, რომ განზრახული იყო სააკაშვილის მკვლელობა. რუსეთს საქართველოში პოლიტიკური ცვლილებები ეჩქარებოდა.

– რატომ?

– მალე სრული ძალით ამოქმედდება ამერიკული სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთს მანამდე უნდოდა ემოქმედა და არეულობის გამოწვევის შემდეგ თავის ნებაზე ჩაენაცვლებინა ისინი, რომლებსაც, სავარაუდოდ, შეეხებათ სანქციები. სანქციების გაფართოება 2 თებერვალს იგეგმება. რუსები ზოგჯერ წინასწარ იგებენ, ვინ მოხვდება „შავ სიაში“ და ზომებს წინასწარ იღებენ. კრიმინალური ავტორიტეტი შაქრო კალაშოვი პუტინის იმ ოლიგარქებშია შეყვანილი, რომლებსაც შეზღუდვები უწესდებათ. კალაშოვი ფლობდა საქართველოში არსებული სათამაშო ბიზნესის დიდ ნაწილს. მას ეს ქონება ჩამოართვეს, სხვებზე გადააფორმეს და დაიჭირეს. მას რუსეთის ხელისუფლება ასე მოექცა. აქ ჩანს კრემლის დაუნდობლობა. მოსკოვი არც თავისიან პოლიტიკოსებს და მსხვილ ბიზნესმენებს გაუგორებს კოჭს. ოღონდ, მათ კალაშოვივით ვერ მოექცევა. არეულობა საქართველოში წინასაახალწლოდ უნდა დაწყებულიყო. ამერიკელები ამ დესტაბილიზაციასას საკვანძო დარტყმებს ვერ მიაყენებდნენ რუსეთიდან მართულ პერსონებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ რუსეთი საქართველოში პოზიციებს თმობს. მომავალი წელი საქართველოს პოლიტიკური სისტემისათვის რევოლუციური ცვლილებების წელი იქნება. სანქციები ნიშნავს ელექტრონული სისტემიდან ამოვარდნას, ფინანსური და ეკონომიკური გადარიცხვების შეუძლებლობას. ასეთ შემთხვევაში მოხდება რუსეთის ქვეშევრდომების პარალიზება. შეიქმნება სრულიად ახალი რეალობა.

– თქვენი ვარაუდით თუ ინფორმაციით, სანქციების სიებში ქართველებიც მოხვდებიან?

– შეიძლება ეს 2 თებერვალს არ მოხდეს. სანქციები ქართველებს, შესაძლოა, მომავალ თვეებში შეეხოთ. 2018 წელი დიდი ძვრებისა და რუსეთის გავლენის შეკვეცის წელიწადი იქნება.

ვახტანგ ძაბირაძე: „მრავალპარტიული პარლამენტი უკეთესად მუშაობს, ვიდრე სამპარტიული“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო ბარიერსა და არსებული პოლიტიკური პარტიების შესაძლებლობებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, კონსტიტუციის ახალი რედაქციით ერთჯერადად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები 3%-იანი ბარიერით ჩატარდება. რამდენად მისცემს ეს შესაძლებლობას პოლიტიკურ პარტიებს, რომ პარლამენტში შევიდნენ და მართლაც მრავალპარტიული პარლამენტი მივიღოთ? რამდენად არის მოსალოდნელი პარტიული სისტემის განვითარება?

– საარჩევნო ბარიერის დაწევა, რასაკვირველია, მისასალმებელი და კარგი გადაწყვეტილებაა. უკეთესი იქნება თუ საერთოდ საარჩევნო ბარიერი 3%-ზე დარჩება და აღარ აიწევს 5%-ამდე, რადგან 5% მაღალი საარჩევნო ბარიერია. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს პოლიტიკურ პარტიებს, რომ იბრძოლონ პარლამენტში მოსახვედრად. პარლამენტი მართლაც უფრო მრავალფეროვანი იქნება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქვეყანაში მდგრადი პოლიტიკური სისტემა, ვგულისხმობ ჩამოყალიბებულ, ძლიერ პარტიებს, რომლებიც ათწლეულებს ითვლიან და რომლებიც ყველაფრის მიუხედავად მაინც არსებობენ თავიანთი ელექტორატით, თითქმის არ გვყავს. ჩვენთან, პარტიები უფრო ლიდერების დონეზე თუ ფონზე არსებობენ და არა სტრუქტურირებულად, იდეოლოგიით შექმნილი – ქვემოდან ზევით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ 3%-იანმა საარჩევნო ბარიერმა ხელი შეუწყოს პარტიების, რეალური პარტიების ფორმირებას. ეს ნამდვილად არ არის გამორიცხული. ერთი მხრივ, ეს იქნება პოლიტიკური სპექტრის უფრო გამრავალფეროვნების შესაძლებლობა და მეორე მხრივ, ეს შესაძლებლობას მისცემს ელექტორატს, რომ მეტი არჩევანი ჰქონდეს.

– სოციოლოგიური კვლევებით ელექტორატის 60% ვერც ერთ პარტიასთან ვერ ახდენს იდენტიფიცირებას და არჩევნებზე არ მიდის. შესაძლებელია, რომ მათ არჩევანი გაუჩნდეთ?

– დიახ, სწორედ ამაზე ვსაუბრობ. მართლაც ძალიან მაღალია ის მაჩვენებელი, რომელსაც არჩევანი ვერ გაუკეთებია, რადგან არც ერთი პარტია არ მოსწონს, არც ერთი პარტიის პროგრამა თუ იდეოლოგია მისთვის მისაღები არ არის. ეს ამომრჩეველს ჩამოყალიბების შესაძლებლობას მისცემს. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც პარტიული სისტემები ჩამოყალიბდება, შემდეგ უკვე შესაძლებელი იქნება, ბარიერის აწევის საერთოდ გაუქმება. თუმცა, ერთჯერადობა უფრო მოწყალების გაღებას ჰგავს, ვიდრე რეალურ ზრუნვას, რომ ქვეყანაში პარტიული სისტემა გაძლიერდეს და გაჯანსაღდეს.

– ბატონო ვახტანგ, იქნებ ბუნებრივად ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ორპარტიული სისტემა გვქონდეს, როგორც, მაგალითად, აშშ-ია, დიდ ბრიტანეთში? თუმცა, საპარლამენტო რესპუბლიკისთვის რამდენად არის ორპარტიული სისტემა მისაღები, რთული სათქმელია.

– მე არ ვამბობ, რომ ორპარტიული სისტემა ცუდია ან კარგია, აქ მთავარი არის ის, რომ ეს უნდა მოხდეს ბუნებრივად, ბუნებრივი განვითარების შესაბამისად, ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის გარეშე და ვიღაცის მოწყალების გაღებით. შესაძლებლობა უნდა მისცეს პოლიტიკურ სპექტრს და შემდეგ უკვე ამომრჩეველი გადაწყვეტს, რა იყოს და როგორ. საზოგადოებამ უნდა ჩამოაყალიბოს პოლიტიკური სპექტრი და არა ხელისუფლებამ. სამპროცენტიანი ბარიერი, საერთოდ ბარიერის მოხსნაც კი ერთჯერადად შესაძლებელია, ეს მისცემს საზოგადოებას ანუ ამომრჩეველს შესაძლებლობას, რომ პოლიტიკური სპექტრი ჩამოაყალიბოს. თუ ბარიერი აიწევს, მაშინ გამოდის, რომ ხელისუფლება და ერთი ან ორი პარტია შევიდეს პარლამენტში. როდესაც საზოგადოება ალტერნატივის წინაშე დგას, მიუღებელია როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია, მაშინ ზოგადად პოლიტიკური პარტიების მიმართ ნიჰილიზმი იჩენს თავს. ამიტომ, იმ ქვეყნებში, რომლის მაგალითიც თქვენ მოიყვანეთ, ბუნებრივმა, ისტორიულმა განვითარებამ ჩამოაყალიბა ეს პოლიტიკური სისტემა.

მე ვეთანხმები იმ პოზიციას, რომ სუსტი პოლიტიკური პარტიები ძალიან ცუდია, რომ უკეთესია რამდენიმე და ძლიერი, მაგრამ ეს მოცემულობა ამომრჩეველმა უნდა შექმნას და არა ხელისუფლებამ. ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს, მაგრამ არა ხელოვნურად საარჩევნო ბარიერის აწევით თუ დაწევით. უკეთესია ეს პროცესი მიუშვათ საზოგადოების ნებაზე და საზოგადოება თავად გადაწყვეტს, რა და როგორ.

– პარლამენტში დაახლოებით რამდენი პარტია შევა 3%-იანი ბარიერის პირობებში?

– 4 თუ 5 პარტია შევა, რაც სრულიად საკმარისი იქნება თუნდაც იმისთვის, რომ უფრო მრავალფეროვანი პარლამენტი გვქონდეს და არ იყოს მხოლოდ სამი პოლიტიკური პარტია წარმოდგენილი, როგორც დღეს გვაქვს. ნაციონალური მოძრობა რომ გაიყო, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. დღეს პარლამენტში მიმდინარე პროცესები, რომელიც თითქმის მხოლოდ ორ პოლიტიკურ ძალას შორის ძიძგილაობას დაემსგავსა, ეს ფონი აუცილებლად შეიცვლებოდა. საბოლოო ჯამში, ხელისუფლებაც და ის ოპოზიციაც, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი, თითქოს მოგებულია, მაგრამ რეალურად ერთიც წაგებულია და მეორეც, რადგან ქვეყანაა წაგებული, რადგანაც ის პროცესები, რომელიც დღეს პარლამენტში მიმდინარეობს, ამომრჩეველში მხოლოდ გაღიზიანებას იწვევს და ნეგატიურ ფონს ქმნის როგორც ერთი ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მისამართით. ამას ემატება ის ფონი, რომელიც ქვეყანაშია, ვგულისხმობ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, და ეს გვაძლევს ისეთ სურათს, როდესაც მოსახლეობაში პოლიტიკური სუბიექტებისადმი ნდობა თანდათან იკარგება. შესაბამისად, გვაქვს სურათი, როდესაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის სულ ერთია, ვინ იქნება ხელისუფლებაში, ეს კი ძალიან საგანგაშო სიგნალია. მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა ელექტორატის თვალში სერიოზული დევალვაცია განიცადა და ამას წინ ბევრი მიზეზი უძღოდა. ამის დასტური იყო თუნდაც ადგილობრივი არჩევნები, რომელიც ოქტომბერში ჩატარდა.

– ბატონო ვახტანგ, თქვენ ბარიერის საერთოდ მოხსნა ახსენეთ. შევარდნაძის პრეზიდენტობის საწყის ეტაპზე საპარლამენტო არჩევნები ბარიერის გარეშე ჩატარდა, რომ პოლიტიკური პროცესი ქუჩიდან შიგნით შესულიყო. ამ გადაწყვეტილებამ რამდენად დაუდო პოლიტიკური პარტიების განვითარებას საფუძველი?

– დიახ, დაუდო. ეს იყო 1992 წლის საპარლამენტო არჩევნები. ამ არჩევნების შედეგად მრავალფეროვანი პარლამენტი ჩამოყალიბდა. სხვათა შორის, ამ პარლამენტმა შეძლო ყველაზე რთულ ვითარებაში, რაც კი შეიძლებოდა ქვეყანაში მომხდარიყო, მოგეხსენებათ ომი იყო, სამოქალაქო დაპირისპირება, კონფლიქტები, სრული ქაოსი და არეულობა, კუპონიზაციის პერიოდი, მიუხედავად ამ ურთულესი პოლიტიკური თუ სოციალური ვითარებისა, ამ ჭრელმა პარლამენტმა შეძლო ქვეყნის აქედან რაღაცნაირად გამოყვანა. 1995 წელს კი, შეიძლება არა ბრწყინვალე, მაგრამ კონსტიტუციაც მივიღეთ, შემდეგ ღარიც შემოვიდა და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ქვეყანა შოკიდან გამოვიდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის ჭრელი პარლამენტი იმ ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა ერთადერთი საყრდენი, რომელმაც შეძლო, ქვეყნის განვითარებისთვის სწორი მონახაზი გაეკეთებინა. ამდენად, პარლამენტის სიჭრელე კარგია და არა ცუდი. ამის შემდეგ მივიღეთ ის სურათი, რაც მივიღეთ, ის ერთპარტიული სისტემა, რომელსაც „მოქალაქეთა კავშირმა“ დაუდო საფუძველი. ამან კი რევოლუციამდე მიგვიყვანა. ერთპარტიულ სისტემას ვერ ეგუება ქართული პოლიტიკური რეალობა. შემდეგ მოვიდა სააკაშვილი, თავიდან, 2003 წელს კი იყო მრავალპარტიული პარლამენტი, მაგრამ მალევე მოხდა ამ მრავალპარტიულობის გაქრობა, და გახსოვთ, როგორ მივიღეთ 2008 წლიდან 2012 წლამდე ერთპარტიული პარლამენტი, როგორ მივედით ისევ კატასტროფამდე. სამწუხაროდ, იგივე პოლიტიკური რეალობა დღესაც მეორდება.

ჭრელი პარლამენტი ნიშნავს – პოლიტიკური პროცესების ქუჩიდან პარლამენტში გადასვლას. მართალია ეს, კი, არის დიდი თავის ტკივილი ყველასთვის, პირველ რიგში, ხელისუფლებისთვის, საზოგადოებისთვის, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს ქვეყნისთვის დადებითად მუშაობს, დადებითი ეფექტი აქვს ამას, მაგრამ ამის გააზრება გვიჭირს. ამიტომაც ვერ შევძელით თავის დაღწევა იმ გარდამავალი პერიოდისთვის, რომელიც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ისრაელიდან საქართველოში ინვესტიციების შემოდინება არასოდეს შეწყვეტილა

2018 წელი საქართველო-ისრაელის ურთიერთობაში, შესაძლოა, განსაკუთრებული აღმოჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ ორი ქვეყნის ბოლო 25-წლიანი კავშირი ყოველთვის სტაბილურობით გამოირჩეოდა, წელს, ოქტომბერში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის ისრაელში ოფიციალურმა ვიზიტმა ახალი შინაარსი შესძინა ორმხრივ ურთიერთობებს. როგორც გაირკვა, ამ ვიზიტისას, ფაქტობრივად, დაიგეგმა მომავალი წლის სამუშაო გეგმა და რამდენიმე მნიშვნელოვანი საპასუხო ვიზიტი. გაისად ორი ქვეყნის ურთიერთობაში განსაკუთრებული ყურადღება განათლებაზე, ეკონომიკურ კონტაქტებსა და დედაქალაქების კავშირებს დაეთმობა. ეს ის თემებია, რომელზეც ისრაელში კობახიძის ვიზიტისას განსაკუთრებულად გაკეთდა აქცენტი.

საქართველო-ისრაელის ეკონომიკური კავშირები თითქმის სამ ათეულ წელს ითვლის. ისრაელიდან საქართველოში ინვესტიციების შემოდინება არასოდეს შეწყვეტილა. ეს პროცესი ორგანიზებული მას შემდეგ გახდა, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში პირველად ამოქმედდა საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა, რომლის ეგიდითაც დღემდე ქვეყანაში შემოსულია 500 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია. საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა მუშაობს ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე და ბიზნესის დაცვაზე და ამას ის, მისი ფორმატიდან გამომდინარე, უფრო სწრაფად და მოქნილად აკეთებს.

ქართული მხარე მიიჩნევს, რომ უმნიშვნელოვანესია ისრაელთან ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება, რადგან დიდია პოტენციალი, თუმცა კიდევ უფრო სისტემაში მოსაყვანია ეს კავშირები. ამ მიზნით, ირაკლი კობახიძის ისრაელში ვიზიტისას გადაწყდა, რომ ორივე ქვეყანა შეიმუშავებდა ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის გენერალურ შეთანხმებას, რომელიც იქნებოდა ერთგვარი სამოქმედო გეგმა.

კობახიძის ვიზიტისას მიღწეულმა შეთანხმებამ შედეგი არ დააყოვნა. რამდენიმე დღის წინათ თბილისში, „ისრაელის სახლის“ ორგანიზებით ჩამოსულმა წარმომადგენლობითმა დელეგაციამ, კერძოდ კი, მის შემადგენლობაში მყოფმა ქნესეთის ერთ-ერთმა გავლენიანმა წევრმა აქრამ ხასონმა ჩამოიტანა საქართველოს ეკონომიკური მინისტრის მიწვევა ისრაელში. აქრამ ხასონი ქნესეთის მმართველი კოალიციის წევრი პარტიის წარმომადგენელია, ხოლო მისი პარტია მთავრობაში ეკონომიკური ბლოკის პორტფელებს ფლობს. თბილისში ეკონომიკის მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე ისრაელელმა პარლამენტარმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ისრაელის მხარის სურვილს, რომ მზადაა თვისობრივად ახალ ეტაპზე ავიდეს ორი ქვეყნის თანამშრომლობა ამ სფეროში.

ისრაელში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტის გამოძახილია თანამშრომლობა განათლების სფეროში. ეს იყო ზემოთ აღნიშნული დელეგაციის ვიზიტის ერთ-ერთი თემა. ვიზიტის მეორე დღეს დელეგაციის შემადგენლობაში მყოფმა ქნესეთის წევრებმა, ანალიტიკოსებმა და მედიის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებსა და სტუდენტებთან. დელეგაცია მიესალმა საქართველოს ორ უნივერსიტეტში ჰოლოკოსტის სწავლების დაწყებას და აღინიშნა, რომ ისრაელის მხარე მზადაა, საქართველოს გაუზიაროს გამოცდილება განათლების სფეროში. ამავე ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ისრაელში ცნობილ ქარმელის აკადემიურ კოლეჯთან, რომელიც ითვალისწინებს ქართულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, სტუდენტების გაცვლასა და აგრეთვე, ერთობლივ კვლევებს.

ისრაელის მხარისთვის მნიშვნელოვანი გზავნილი იყო ქართული მხარის განცხადება, რომ საქართველოს ისრაელთან ურთიერთობაში არ სჭირდება დამატებითი მოტივაცია. 15-17 დეკემბერს თბილისში მყოფმა ისრაელის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ, თავის მხრივ, ჩამოიტანა ის მესიჯები, რომელიც ასახავს ოფიციალური ისრაელის პოზიციას. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ხანუქასადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე ქნესეთის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრმა იციკ შმულიმ განაცხადა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში არ არსებობს დაფარული საკითხები და იგი მიესალმება ქართული მხარის სურვილს, რომ მომავალი 2018 წელი კიდევ უფრო საქმიანი და დატვირთული იყოს. ისრაელელი პარლამენტარის თქმით, მან ასეთი სურვილი სწორედ ირაკლი კობახიძის ისრაელში ვიზიტისას დაინახა.

„ისრაელის სახლის“ ინიციატივა იყო, ტრადიციულ მიმართულებებთან ერთად, წინა პლანზე წამოწეული ყოფილიყო ახალგაზრდობის ურთიერთდაახლოების თემა. „ქართულ უნივერსიტეტებსა და ისრაელის სასწავლებლებს შორის კომუნიკაცია ორიენტირებულია ახალ თაობაზე, რომელმაც ხვალ დამოუკიდებლად უნდა ააგოს ორი ქვეყნის ხარისხიანი კავშირები“, – აცხადებს იციკ მოშე.

ისრაელ-საქართველოს მომავალ ოფიციალურ ვიზიტებში ერთ-ერთი სიახლე იერუსალიმის მერის თბილისში დაგეგმილი ვიზიტია. ეს გადაწყვეტილებაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ისრაელში ვიზიტისას იქნა მიღებული – ირაკლი კობახიძემ ისრაელის დედაქალაქის მერი თბილისში დაპატიჟა. ეს ვიზიტი იქნება პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს იერუსალიმის მერი ეწვევა. დაგეგმილი ვიზიტის შესახებ ინფორმირებულია თბილისის მერი კახა კალაძე, რომელიც ისრაელის წარმომადგენლობით დელეგაციასა და საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, გიორგი ჩოგოვაძესთან ერთად, 17 დეკემბერს დაესწრო თბილისში ისრაელური ინვესტიციით დაგეგმილი ფეშენებელური სასტუმროს მშენებლობის დაწყებას. კალაძე მიესალმა ისრაელურ ინვესტიციას და მხარდაჭერა აღუთქვა, ჩოგოვაძის განცხადებით კი, ქვეყანაში ტურიზმის მზარდი ტენდენცია ხელს უწყობს ახალი ინვესტიციების შემოდინებას.

2018 წელი საქართველოსა და ისრაელისთვის საიუბილეოა. ორივე ქვეყანა დამოუკიდებლობის მრგვალ თარიღს აღნიშნავს. როგორც „ისრაელის სახლის“ ხელმძღვანელი იციკ მოშე აღნიშნავს, გაისად ორივე მხარეს მიეცემა შესაძლებლობა, გაწერილი გეგმის მიხედვით იმოქმედოს, წლის ბოლოს კი თბილისს ეწვევა წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელიც საზეიმო ღონისძიებების გარდა, მონაწილეობას მიიღებს წლის შეჯამებაში.

– „ისრაელის სახლის“ აქტიური მუშაობით მივაღწიეთ იმას, რომ დღეს ისრაელ-საქართველოს ურთიერთობებში ნაკლები შუამავლებია, სამინისტრო ურთიერთობს სამინისტროსთან, ბიზნესი ბიზნესთან, წინა პლანზე წამოიწია სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა, პროტოკოლური ვიზიტები კი მეტი შინაარსით იტვირთება, ისრაელის პრესა კიდევ უფრო მეტად ინტერესდება საქართველოთი. მიგვაჩნია, რომ ეს ტენდენცია მთავარი ხაზი უნდა იყოს მომავალი წლების დაგეგმვაშიც, – აცხადებს იციკ მოშე.

მედიანიუსი

აქსისი საახალწლო ფასდაკლებას აცხადებს

აქსისი მომხმარებლებს ახალ წელს ახალი პროექტით ულოცავს და საახალწლო აქციას სთავაზობს. 2018 წლის იანვრის ბოლომდე ახალ კომპლექსში „აქსისპალასი საირმეზე“ ბინის შეძენა 15%-იანი ფასდაკლებით არის შესაძლებელი.

„აქსისპალასი საირმეზე“ აქსისის ახალი პროექტია, რომელიც საირმის ქუჩა, N51-ში მდებარეობს. აქსისის ხარისხი და არქიტექტურა, განვითარებული ინფრასტრუქტურა, შენობის მდებარეობა, საიდანაც 360 გრადუსიანი ხედი იშლება, წითელ ბაღთან სიახლოვე, საირმის გორის სუფთა ჰაერი,საბურთალოს უბნისთვის გამორჩეულ სივრცეს ქმნის და პროექტს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

საახალწლო შეთავაზება ვრცელდება სხვა მიმდინარე პროექტებზეც. კერძოდ, 5-10%-იანი ფასდაკლებით ბინების შეძენა შესაძლებელია შემდეგ კომპლექსებში: "ჭავჭავაძის 49“, „აქსისი იპოდრომთან“, „წინამძღვრიშვილის 125“, „აქსისი დიდუბეში“.

„4-წლიან პერსპექტივაში სადაზღვევო სექტორი მშპ-სთან მიმართებაში 1,7%-მდე გაიზრდება“

განვითარებულ ქვეყნებში სადაზღვევო სექტორს მშპ-ში საშუალოდ 8% უჭირავს, მსგავსი მაჩვენებლისგან საქართველო ჯერ შორს არის, – ამის შესახებ გაზეთ „ბანკები და ფინანსებთან“ საუბრისას დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე სულამანიძემ განაცხადა.

– ჩვენი სამიზნე სწორედ განვითარებულ ქვეყნებში არსებული ვითარებაა, მაგრამ მანამდე, უნდა შევედაროთ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობით ჩვენს ანალოგიურ სახელმწიფოებს. თუ გადავხედავთ რეგიონში არსებულ ვითარებას, საკმაოდ კარგი პოზიციებია, მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულო დაზღვევები დღემდე არ მოქმედებს. კერძოდ, სომხეთში სადაზღვევო სექტორი მშპ-ს 0,65 %-ს შეადგენს; აზერბაიჯანში 0,81 %-ს; რუსეთში 1,3 %-ს, თურქეთში 1,6%-ს . საქართველოში დაზღვევის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 1,15 %-ია. სავალდებულო დაზღვევების შემოტანასთან ერთად და მოსალოდნელ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ვვარაუდობთ, რომ 4-წლიან პერსპექტივაში ეს იქნება 1,7 %. ამ პროგნოზისას ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასაც ვითვალისწინებთ, – აღნიშნავს სულამანიძე.

სემეკმა ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები გაზარდა

მარეგულირებლის გადაწყვეტილებით, „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი 2018 წლის 1 იანვრიდან 1.323 თეთრი გახდება (დღგ-ს გარეშე), მაშინ, როდესაც მოქმედი ტარიფი 0.872 თეთრია. ზრდა სემეკის თავმჯდომარემ კომპანიის 600 მილიონი ლარის საინვესტიციო პორტფელით ახსნა.

გაიზარდა ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ტარიფიც. ზრდა ორ ეტაპად მოხდება 1 იანვრიდან 30 აპრილამდე 0.082 თეთრიდან 0.092 თეთრამდე იზრდება, 2018 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე კი, 0.412 თეთრი იქნება (დღგ-ს გარეშე).

რაც შეეხება მოსახლეობის სამომხმარებლო ტარიფებს, გადაწყვეტილება ცნობილი 27 დეკემბერს გახდება.

თბილისს ყველაზე მეტად რეკრეაციული ზონები აკლია



„ბიზნესპრესნიუსზე“ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა 41.5%-ის თქმით, თბილისს ყველაზე მეტად რეკრეაციული ზონები აკლია.

გამოკითხვაში მონაწილეთა 30.1% ამბობს, რომ თბილისში პრობლემაა მოწესრიგებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ხოლო 15.7%-ის თქმით, თბილისში ყველაზე დიდ პრობლემას მოუწესრიგებელი პარკინგის სისტემა წარმოადგენს. 12.7%-ის თქმით, თბილისში ინფრასტრუქტურა გაუმართავია.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 787-მა ადამიანმა მიიღო. გამოკითხვა საიტზე 1 ოქტომბრიდან 25 დეკემბრამდე მიმდინარეობდა.

სუსი: „აფხაზეთის ე.წ. ციხიდან გიორგი ლუკავას გათავისუფლება მრავალთვიანი მოლაპარაკებების შედეგია“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, აფხაზეთის ე.წ. ციხიდან გიორგი ლუკავას გათავისუფლება მრავალთვიანი მოლაპარაკებების შედეგია.

– მიმდინარე წლის 25 დეკემბერს, მრავალთვიანი მოლაპარაკებების შედეგად, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ციხიდან 2011 წლის მაისში დაკავებული საქართველოს მოქალაქე გიორგი ლუკავა გათავისუფლდა. დე ფაქტო ხელისუფლების მხრიდან გიორგი ლუკავას გათავისუფლების გადაწყვეტილება არის დადებითი ნაბიჯი, რომელიც პოზიტიურ დინამიკას შესძენს გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატის შემდგომ მუშაობას, – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ სუს-ში.

გიორგი ლუკავა სოხუმის დრანდის ციხეში პატიმრობაში თითქმის შვიდი წლის განმავლობაში იმყოფებოდა. ლუკავა 2011 წლის მაისში გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში დააკავეს და 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. იგი ქართულ მხარეს ენგურის ხიდზე გადმოეცა.

შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო სამართალდარღვევის 634 ფაქტი გამოავლინა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ, 18-24 დეკემბერს, ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 634 ფაქტი გამოვლინდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 2.922 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 72 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 29 ფაქტი; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 533 შემთხვევა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული რ.ხ. რუსთავში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, მის მიერ ჩადენილი დანაშაული 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ რ.ხ.-ს მიერ გაყიდული 6 შეკვრა ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მესტიის საკრებულოს წევრი, ნაციონალი ლომარ ნიგურიანი ბაზარში ჩაცხრილეს

მესტიის საკრებულოს დეპუტატი, რომელიც დღეს შუადღეზე მოკლეს, ნაციონალური მოძრაობის სიის პირველი ნომერი იყო.

არსებული ინფორმაციით, ოპოზიციონერ დეპუტატ ლომარ ნიგურიანს მისი საცხოვრებლის გვერდით მდებარე სახლიდან სავარაუდოდ მაშინ ესროლეს, როდესაც ის საკუთარი სახლის სახურავიდან თოვლს წმენდდა.

– სვანეთში ენმ-ის რაიონული თავმჯდომარე, საკრებულოს წევრი ავტომატით ჩაცხრილეს. ჩვეულებრივი კატასტროფა ხდება – როცა უნდათ მოგკლავენ, – წერს სოციალურ ქსელში ნაციონალური მოძრაობის წევრი ხატია დეკანოიძე.

***

შინაგან საქმეთა სამინისტრო მესტიაში მომხდარ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც შსს-ს განცხადებაშია აღნიშნული, პირადი კონფლიქტის საფუძველზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, 1978 წელს დაბადებულმა მ.ნ.-მა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით მესტიის საკრებულოს წევრს ლ. ნ.-ს მუცლის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

საგამოძიებო უწყების ცნობით, მ.ნ.-ს დასაკავებლად ინტენსიური სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში მიღებული შეტყობინების საფუძველზე, განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, რაც 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს.

წინასწარი ინფორმაციით, მიმდინარე წლის 25 დეკემბერს დაბა მესტიაში, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, პირადი კონფლიქტის საფუძველზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკებისას, 1978 წელს დაბადებულმა მ.ნ.-მ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით მესტიის საკრებულოს წევრს, 1968 წელს დაბადებულ ლ. ნ.-ს მუცლის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ლ.ნ. საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა.

მ.ნ.-ს დასაკავებლად ინტენსიური სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

გამოძიება მიმდინარეობს განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი: „თუ 3 იანვრისთვის არ მექნება მომზადებული დასკვნითი სიტყვა, შეიძლება ისევ მოვითხოვო გონივრული ვადა“



მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის სოფიო გოგლიჩიძის განცხადებით, მისი მხრიდან პროცესების გაჭიანურების მცდელობას ადგილი არ აქვს. როგორც მან აღნიშნა, მასალების გარკვეული ნაწილის გაცნობა მოახერხა და ეცდება, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ახალ ვადაში დასკვნითი სიტყვა მოამზადოს.

– მასალების გარკვეულ ნაწილს უკვე გაცნობილი ვარ და ვეცდები მოცემულ ვადაში ჩავეტიო, მაგრამ თუკი 3 იანვრისთვის არ მექნება მომზადებული დასკვნითი სიტყვა, შეიძლება ისევ მოვითხოვო გონივრული ვადა. არანაირად არ აქვს ადგილი ჩემი მხრიდან პროცესების გაჭიანურებას. დატვირთული გრაფიკის გამო რამდენიმე მოსამართლეს ვთხოვე სხვა საქმეებზე პროცესების გადადება. ასევე წარმოვადგინე ცნობები, რომ არა მარტო გადავდე სასამართლო პროცესები, არამედ გარკვეულ პროცესებში მივიღე მონაწილეობა, ასევე ვიმყოფებოდი ნომერ მერვე დაწესებულებაში ბრალდებულთან კონსულტაციაზე, ასევე მთავარ პროკურატურაშიც მომიწია მისვლა, – განაცხადა სოფიო გოგლიჩიძემ.

რაც შეეხება მისი დაცვის ქვეშ მყოფთან კომუნიკაციას, როგორც ადვოკატი ამბობს, დროის სიმცირის გამო ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ვერ მოახერხა კომუნიკაცია. როგორც სოფიო გოგლიჩიძემ აღნიშნა, ყოფილი პრეზიდენტის ოჯახს წერილი მისწერა, თუმცა პასუხი ამ დრომდე არ მიუღია.

***

პროკურორი მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს

პროკურორი ირაკლი ნადარეიშვილი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სახაზინო ადვოკატის, სოფიო გოგლიჩიძის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აპირებს, თუკი ის „მომდევნო პროცესის გადადებას კვლავ არარეალური მიზეზით მოითხოვს“.

როგორც ნადარეიშვილმა ჟურნალისტებს პროცესის დასრულების შემდეგ განუცხადა, „დღევანდელი მიზეზი პროცესის გადადების, ისევე, როგორც წინა პროცესის შემთხვევაში, უარგუმენტო იყო, რაც მათ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტებით დაადასტურეს“.

– როგორც წინა, ასევე პროცესზე დავადასტურეთ, რომ ადვოკატმა იცრუა, რომ საქმის მასალების გაცნობა გადატვირთული გრაფიკის გამო ვერ შეძლო. ჩვენ გამოვითხოვეთ დოკუმენტები და დადასტურდა, რომ დაცვის მხარემ ამ 12 დღის მანძილზე, რა ვადაც მიეცა დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად, იმუშავა სულ სამი საათი. სხვა საგამოძიებო მოქმედებაში ან სასამართლო პროცესში მას მონაწილეობა არ მიუღია. შესაბამისად, არგუმენტი, რომ ვერ ასწრებს ამ საქმის გაცნობას, სხვა საქმეებში მონაწილეობის გამო, არის სიცრუე, – აღნიშნა პროკურორმა.

ამასთან, ნადარეიშვილის თქმით, პროცესების გადადების მოთხოვნა, სასამართლო განხილვების გაჭიანურებას ემსახურება.

ლომჯარია გენინსპექციას ოპერატიული რეაგირებისკენ მოუწოდებს

საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მომხდარ ინციდენტს ეხმიანება და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მოუწოდებს, ოპერატიულად და ეფექტურად შეისწავლოს მომხდარი ფაქტი. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს.

– 2017 წლის 22 დეკემბერს, გამთენიისას, ათამდე შეიარაღებულმა სამართალდამცველმა იარაღის აღმოჩენის მიზნით, დავით ხოსიაშვილის საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკა. ამ დროს სახლში მისი 31 წლის რძალი თ.ნ. და 1 წლის ბავშვი იმყოფებოდნენ. ჩხრეკისას თ.ნ. შეუძლოდ გახდა და ამ დრომდე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ინგოროყვას კლინიკის რეანიმაციაში. ოჯახის წევრთა განცხადებით, სამართალდამცავები პოლიციელებისთვის შეუფერებლად იქცეოდნენ და სახლიდან ისე წავიდნენ, რომ დახმარება არ შეუთავაზებიათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქმეზე მოკვლევა გენერალურმა ინსპექციამ უკვე დაიწყო. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ არ გაგრძელდება მანკიერი პრაქტიკა და საქმის შესწავლას რეალური შედეგი უმოკლეს დროში მოყვება. არ დარჩება პასუხგაუცემელი კითხვები და შესაძლო გადაცდომის ჩამდენი კონკრეტული პირები გამოვლინდებიან და მართლმსაჯულების წინაშე წარდგებიან.

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სამართალდამცავებმა მაქსიმალურად უნდა დაიცვან მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები, რათა არ შეილახოს პირის ფუნდამენტური – სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლებები.

სახალხო დამცველი თვალყურს მიადევნებს გენერალური ინსპექციის მიერ საქმის შესწავლის პროცესს, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

სახალხო მკურნალილამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტრამპმა ამერიკელ სამხედროებს შობა მიულოცა

24 დეკემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკელ სამხედროებთან ვიდეოკონფერენცია გამართა. მან სამხედროებს შობა მიულოცა, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა.

– ამერიკის სიძლიერეს არა მხოლოდ ძლიერი ეკონომიკა და მაღალგანვითარებული დემოკრატია, არამედ შეიარაღებული ძალებიც განსაზღვრავენ. დღეს ჩვენი არმია მსოფლიოში საუკეთესოა, რაც მთელს მსოფლიოში მშვიდობის უმთავრესი გარანტია, – თქვა ტრამპმა.

გფბ-ს დირექტორის მოადგილე შესაძლოა გადადგეს

გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე მაკეიბი შესაძლოა თანამდებობიდან გადადგეს. მიზეზი მის მიმართ როგორც ტრამპის, ასევე რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთა კრიტიკაა. ისინი უკმაყოფილონი არიან მაკეიბის აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში რუსების ჩარევის საკითხში დაფიქსირებული პოზიციის გამო. მაკეიბს კლინტონების ოჯახთან კავშირშიც სდებენ ბრალს.

– სავარაუდოდ, მაკეიბი მარტში გადადგება, რადგან სწორედ ამ დროისათვის შესრულდება ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც სათანადო პენსია ეკუთვნის, – წერს „ვაშინგტონ პოსტი“.

თავად ტრამპი ამ მოსაზრებას ეთანხმება.

– მარტამდე დიდი დრო აღარ დარჩა, ასე რომ, მანამდე მზად ვარ, გფბ-ს დირექტორის მოადგილის პოსტზე მაკეიბის ყოფნას შევეგუო, – თქვა ტრამპმა.

თურქეთი: აფეთქება სამხედრო ბაზაზე

თურქეთ-ერაყის საზღვრის მახლობლად მდებარე სამხედრო ბაზაზე აფეთქება მოხდა. შედეგად დაიღუპა როგორც მინიმუმ ერთი, დაიჭრა სამი სამხედრო.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

გვატემალა თავის საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანს

გვატემალას პრეზიდენტმა ჯიმი მორალესმა განაცხადა, რომ თავის საელჩოს ისრაელში იერუსალიმში გადაიტანს.

– ჩვენ ვეთანხმებით იმას, რომ ისრაელის დედაქალაქი იერუსალიმია! საელჩოც იერუსალიმში უნდა მდებარეობდეს, – ამბობს მორალესი.

ბორის ჯონსონი: „რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობების ნორმალიზება შეუძლებელია!“

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობები ვეღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც ბორის ელცინის პრეზიდენტობისას იყო.

– მოსკოვში ვიზიტისას ჩვენს რუს კოლეგა ლავროვს ეს პირდაპირ ვუთხარი, – თქვა ჯონსონმა.

ბრიტანეთის მინისტრმა აღნიშნა, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ევროპის დესტაბილიზება, თავი დაანებოს როგორც სპარატიზმს, ასევე ულტრამემარჯვენე ძალების მხარდაჭერას. ასევე აუცილებელია უკრაინაში ომის დამთავრება და ამ ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენა.

– უკრაინას უნდა დაუბრუნდეს როგორც დონბასი, ასევე ყირიმი, – თქვა ჯონსონმა.

ესპანეთის მეფემ კატალონელ სეპარატისტებს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისკენ მოუწოდა

ესპანეთის მეფე ფილიპე მეხუთემ შობაზე ხალხს მიმართა. მონარქმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ქვეყნის ერთიანობაზე. მან საგანგებოდ მიმართა კატალონიის დამოუკიდებლობის მომხრეთ, თუმცა მეფის ტონი გაცილებით უფრო რბილი და შემრიგებლური იყო, ვიდრე მაშინ, როცა ბარსელონაში მიტინგები ბობოქრობდა.

ფილიპე მეხუთემ კატალონელ სეპარატისტებს კვლავ გაახსენა, რომ ესპანეთისაგან მოწყვეტა კატალონიას კარგს არას მოუტანს. მისი აზრით, დამოუკიდებლობის ლოზუნგის აფრიალებამ კატალონიაში შიდა შფოთი გამოიწვია და ამის განმეორება არ ივარგებს.

– მოგიწოდებთ ესპანეთის ერთიანობის შენარჩუნებისაკენ! – განაცხადა მეფემ.

ნავალნი პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს

საინიციატივო ჯგუფმა რუსეთის დემოკრატიული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ნავალნი პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა.

ნავალნი, რომელიც კორუფციასთან ბრძოლის ფონდს ხელმძღვანელობს, აცხადებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში იმ ავტორიტარულ-კლანური სისტემის დემონტაჟს განახორციელებს, რომელიც ვლადიმერ პუტინმა შექმნა.

– მე დავამთავრებ ომს დონბასში, გადავწყვეტ ყირიმის პრობლემას, – თქვა ნავალნიმ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბალეიდოსკოპი

მოხუცი ყოფილი ღვთისმსახური ახალგაზრდა მეუღლეს დაშორდა

ყოფილი ბრიტანელი ღვთისმსახური, 79 წლის ფილიპ კლემენტსი, თავის ახალგაზრდა მეუღლე ფლორინ მარინს იმის გამო დაშორდა, რომ ის მეტისმეტად ხშირად დადიოდა სხვადასხვა წვეულებაზე.

საქმროს გამო, რომელიც მასზე 50 წლით უმცროსია, კლემენტსი ინგლისიდან რუმინეთში გადავიდა საცხოვრებლად. ამასთან, მან საკუთარი სახლი გაყიდა, რათა ბუქარესტში ეცხოვრა.

ქორწილიდან ხუთი თვის შემდეგ პენსიონერმა თავი მარტოხელად იგრძნო, ვინაიდან მისი პარტნიორი, რომელიც სამოდელო ბიზნესშია დაკავებული, თანატოლებთან ერთად მუდმივად აწყობდა წვეულებებს ან ღამის კლუბებში დადიოდა. ყოფილმა ღვთისმსახურმა ასევე აღნიშნა, რომ მათი სახლი ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს. მისთვის რთული აღმოჩნდა რუმინული ენის შესწავლა და ამის გამო ვერავის დაუმეგობრდა.

ამ ყოველივეს გამო კლემენტსმა გადაწყვიტა, მეუღლეს გაეყაროს და სამშობლოში დაბრუნდეს. რუმინეთში ბინა მან ყოფილ მეუღლეს დაუტოვა, თავად კი იძულებულია, თავისი ბრიტანელი მეგობრის სახლის მიშენებაში იცხოვროს.

კლემენტსს იმედი აქვს, რომ ინგლისის ეკლესია ოდესმე ოფიციალურად აღიარებს ერთსქესიანთა ქორწინებას. რამდენიმე წლის წინ მან თანამდებობა საკუთარი ორიენტაციის გამო დატოვა.

კოალებმა შუა გზაზე იჩხუბეს

ავსტრალიაში ორმა კოალამ ერთმანეთთან ჩხუბი შუა გზაზე გამართა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა პორტალმა გამოაქვეყნა.

აღნიშნული შემთხვევა სამხრეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ სტირლინგში მოხდა. ურთიერთობის გარკვევისთვის მოჩხუბარი კოალების გამო გზაზე საცობი წარმოიშვა. მძღოლები მანქანების საყვირებით ცდილობდნენ ცხოველების გზიდან განდევნას, მაგრამ უშედეგოდ.

სიტუაცია მხოლოდ მას შემდეგ განიმუხტა, როდესაც ცხოველებს თავად მობეზრდათ ურთიერთობის გარკვევა და გზის სავალი ნაწილი დატოვეს.

დანიური ზოოპარკები ლომების შინაური ცხოველებით გამოკვებას აპირებენ

დანიის ორმა ზოოპარკმა კოპენჰაგენსა და გივსკუდში დამთვალიერებლებს თხოვნით მიმართა, მტაცებლების გამოსაკვებად შინაური ცხოველები მოიყვანონ.

ზოოპარკები იღებენ ზღვის გოჭებსა და კურდღლებს. ამ ცხოველებით იკვებებიან ვეფხვები, ლომები და მგლები. კოპენჰაგენის ზოოპარკის თანამშრომლის ანი-სოფი ელერის თქმით, მტაცებლების ძაღლებით ან კატებით გამოკვება არაეთიკური იქნებოდა, ამასთან, ეს ცხოველები მტაცებლების ბუნებრივ რაციონში არ შედიან.

– კარგია, როდესაც ცხოველების კვება მრავალფეროვანია. მათ ტყავის ღეჭვა ეხალისებათ, ხოლო შიგნეულობა ძაღზე სასარგებლოა, – განაცხადა ელერმა.

აღსანიშნავია, რომ ზოოპარკები დამთვალიერებლებს საშუალებას აძლევენ უყურონ, თუ როგორ შეჭამს შინაურ ცხოველს მტაცებელი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

დასაქმება

● განყოფილების ხელმძღვანელს ოფისში სჭირდება რუსული და ქართული ენების მცოდნე ორი თანაშემწე. ვთავაზობთ მზარდ ანაზღაურებასა და კარიერულ წინსვლას. ტელ: 599-61-75-82.

● სავაჭრო კომპანიის ოფისში გვესაჭიროება თანამშრომელი, რომელსაც პერსონალის შერჩევის გამოცდილება აქვს. ტელ: 555-57-83-54.

შეეცადეთ წიგნებს!

● ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით:booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგანხარისხიანიგათავისუფლებამცენარეული,უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 225 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით ..

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლურიდანარკოტიკულიჩვევა-დამოკიდებულებისგანსწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

რუსთავმა ქუთაისი დაამარცხა და დროებით პირველ ადგილზეა



რუსთავი-ქუთაისი 100:84
(23:22, 29:20, 25:19, 23:23)

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი რუსთავში გაიმართა, სადაც სათამაშოდ ქუთაისი ჩავიდა. ორივე გუნდმა წინა მატჩი დინამოსთან გამართა. ქუთაისელებმა მოქმედი ჩემპიონი 1 ქულით დაამარცხეს, ხოლო რუსთაველებმა დინამოსთან უშანსოდ – 57:86 წააგეს. მიუხედავად ამისა, დაპირისპირებაში ფავორიტის დასახელება ძნელი იყო, თუმცა საბოლოო შედეგმა მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვება დააფიქსირა.

მეტნაკლებად თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ, რუსთავმა უპირატესობა მოიპოვა და მეორე მეოთხედის დამაჯერებლად მოგების შემდეგ დიდი შესვენებისთვის 52:42 დაწინაურდა. ქვემოქართლელები კარგად თამაშობდნენ დაცვაში, განსაკუთრებით კი – შეტევაში და სტუმრებს როგორც პერიმეტრიდან, ისე ფარქვეშ ჯობნიდნენ. რეზო ჩაჩანიძე, გოგა ცეკვავა და ბრაიან ბერნარდი სამქულიანებს აგდებდნენ, ხოლო ფარქვეშ ჯეფ კრუკი და ტაირელ ნელსონი დომინირებდნენ, რომლებსაც ხელს სათადარიგო მეფარე პოლ კუპერიც აშველებდა და მესამე პერიოდში რუსთაველებმა მოგებაზე ხმამაღალი განაცხადი გააკეთეს.

მესამე პერიოდის 25:19 მოგების შემდეგ, რუსთავი 16 ქულით დაწინაურდა და ეს დამაჯერებელი უპირატესობა თამაშის ბოლომდე იოლად შეინარჩუნა. საბოლოოდ 100:84 – რუსთაველთა სასარგებლოდ და ქვემოქართლელებმა 8 მოგების წილ 4 მარცხი დააგროვეს. ამ შედეგით რუსთაველები სუპერლიგის ცხრილს ლიდერობენ, თუმცა მეორეზე მყოფ დინამოს 2 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

ქვემოქართლურ გუნდს დღევანდელ მატჩში ტაირელ ნელსონმა ულიდერა, რომელმაც 23 ქულა, 11 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. 16-16 ქულა ჩააგდეს ადამ ბლეიზეკმა და ბრაიან ბერნარდმა, ხოლო რეზო ჩაჩანიძის მონაგარი 6 ცდიდან ჩაგდებული 5 სამიანი და შესაბამისად – 15 ქულა იყო. ქუთაისში 25 ქულით დეჟუან რაითი გამოირჩა, ხოლო აკაკი დვალიშვილმა 19 ქულა მიითვალა.

კაკტუსი-დინამო 87:94
(19:25, 20:22, 15:23, 33:24)

დაკარგული ქულებით გათამაშების ლიდერი დინამო ბოლო 3 მატჩის მომგებ კაკტუსს შეხვდა და 7 ქულის სხვაობით – 94:87 იმარჯვა.

შეხვედრა დინამოელთა დამაჯერებელი უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა ბოლო პერიოდში კაკტუსმა თამაში გამოაკეთა და ვითარება დაძაბა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ დინამომ თამაშის მსვლელობისას 2 მეფარე დაკარგა – გიორგი შარაბიძემ და ილია ლონდარიძემ 5-5 პერსონალური მიიღეს და მოედანი დატოვეს.

ბოლო პერიოდის წინ დინამოელები 16 ქულით იგებდნენ, მაგრამ ტერიკ ბრიჯმენისა და დავით ლომიძის შედეგიანობით კაკტუსმა ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირა. მატჩის ბოლო 2 წუთი საკმაოდ გაგრძელდა: გუნდები წუთშესვენებებს იღებდნენ – დინამო ლიდერობის შენარჩუნებას ცდილობდა, კაკტუსი კი დაწევას. საბოლოოდ მატჩი ისე დასრულდა, დინამოს მორიგ გამარჯვებას სერიოზული საფრთხე არ დამუქრებია.

გამარჯვებულებს 22 ქულით და 6 პასით მიხეილ ბერიშვილმა ულიდერა. 21 ქულით და 12 მოხსნით კაელ ტურპინი გამოირჩა, ლაველ ბოიდის ანგარიშზე კი 13 ქულა დაგროვდა. კაკტუსში 24 ქულით საუკეთესო იყო ტერიკ ბრიჯმენი, დავით ლომიძემ თავის გუნდს 20 ქულა მიაშველა.

სოხუმი-ბათუმი 81:105
(21:25, 15:19, 27:35, 18:26)

სოხუმს მიმდინარე სუპერლიგაში მხოლოდ 1 მოგება ჰქონდა, თუმცა არც ბათუმელებს ჰქონდათ საქმე დაღხენილად. ბოლო შეხვედრებში წაგებები განიცადეს და ჩემპიონატის შედეგიანად დაწყების შემდეგ, ცხრილში დაბლა დაეშვნენ.

აჭარულმა კლუბმა ფავორიტის სტატუსი გაამართლა და სოხუმს დამაჯერებლად მოუგო. მატჩის ბედი მეორე ნახევარში გადაწყდა, მანამდე კი სოხუმელები იბრძოდნენ და წარმატების შანსს ინარჩუნებდნენ. დიდ შესვენებაზე სხვაობა 8 ქულა იყო, ხოლო მესამე პერიოდი ბათუმელებმა 35:27 მოიგეს და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 16 ქულით დაწინაურდნენ.

დარჩენილ დროში ისღა იყო დასაფიქსირებელი, რამდენი ქულით იმარჯვებდა ბათუმი. შეხვედრა ზღვისპირელებმა 24 ქულით მოიგეს და ცხრილში მე-6 ადგილზე გადაინაცვლეს.

აჭარულ გუნდს 28 ქულითა და 11 მოხსნით სერბმა სტეფან ანდრეიევიჩმა ულიდერა. ახალწვეულმა იშმაილ ჰოლისმა 24 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა, ვახტანგ ქადარიამ კი ბათუმელებს 17 ქულა და 10 მოხსნა შემატა. სოხუმში 26 ქულით საუკეთესო იყო კვან უოლერი.

მგზავრები-დელტა 97:77
(23:16, 26:23, 27:21, 21:17)

შეხვედრა თბილისური გუნდის უპირატესობით დაიწყო, გაგრძელდა და დასრულდა კიდეც. ქვემოქართლელებმა მგზავრებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ჩემპიონატში მე-10 მარცხი იწვნიეს.

არადა, ამ გუნდებს შორის ცხრილში სხვაობა მცირე იყო და გამარჯვების შემთხვევაში დელტა მეტოქეს მოგებებით უთანაბრდებოდა. პირველი პერიოდის შემდეგ მარნეულელები მეტოქეს 7 ქულით ჩამორჩებოდნენ, თუმცა დიდი შესვენებისთვის სხვაობა 10 ქულამდე გაიზარდა. მგზავრების მოთამაშეები სწრაფად და, რაც მთავარია, ზუსტად თამაშობდნენ. სხვაობაც მათ სასარგებლოდ იზრდებოდა და ამ პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. მატჩის ბოლომდე თბილისურმა გუნდმა 20 ქულამდე გაზარდა უპირატესობა და 97:77 გაიმარჯვა.

ეს გახლდათ მგზავრების მე-4 გამარჯვება მე-11 მატჩში და ამ შედეგით ეს გუნდი ცხრილში მე-7 ადგილზეა.

გამარჯვებულებს 23 ქულით კახა ჯინჭარაძემ ულიდერა. 19 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი ჰქონდა ადრიან ბოუის, ხოლო ოთარ ფხაკაძემ შეხვედრა 15 ქულით დაასრულა. დელტაში 14-14 ქულა სამმა კალათბურთელმა დააგროვა: ლევან ელიავძემ, ტაილერ ალდერმანმა და ნიკოლას ნილმა.

ბერტი ფოგთსის რჩევა ბაიერნს

რამდენი დღის წინ მიუნხენის ბაიერნის სატრანსფერო პოლიტიკა გაგაცანით, სადაც კლუბის ხელმძღვანელობა ღიად აფიქსირებს თავის პოზიციას და აცხადებს, რომ ბავარიული კლუბი არასდროს გადაიხდის უზარმაზარ ფულს ფეხბურთელის შესაძენად.

განსხვავებული აზრი აქვს გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელ ბერტი ფოგთსს, რომელიც ბაიერნის ხელმძღვანელობას რჩევას აძლევს. გამოცდილი სპეციალისტის განცხადებით, „რეკორდმაისტერმა“ საკუთარ სატრანსფერო პოლიტიკას უნდა გადახედოს და ამავე დროს, იუპ ჰაინკესთან კონტრაქტის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, შეთანხმებას მიაღწიოს.

ბერტი ფოგთსი:

– ვფიქრობ, უმჯობესია, შეიძინო ერთი ფეხბურთელი 80-90 მილიონ ევროდ, ვიდრე 3 უღიმღამო მოთამაშეში, ყოველ ჯერზე 20 მილიონი იხადო. ბაიერნს შეუძლია საკუთარ თავს მსგავსი ფუფუნება მისცეს. ბავარიელებს, განსაკუთრებით, ფლანგის შემტევი ფეხბურთელები ესაჭიროება. გარდა ამისა, მიუნხენური კლუბისათვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა, თუკი იუპ ჰაინკესი, მოქმედ ხელშეკრულებას, კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივებდა.

იუპ ჰაინკესისა და ბაიერნის მომავალ ურთიერთობასთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა გერმანული გრანდის პრეზიდენტმა ული ჰიონესმაც.

– არ მსურს იუპ ჰაინკესის მიმართ ერთგვარი ზეწოლა განვახორციელო. თავდაპირველად უკეთესია, გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებას დაველოდოთ. დაე იუპმა საკუთარ ოჯახთან ერთად დაისვენოს. ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარების გაკეთება აღარ მსურს.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი კარიერას ყაზახეთში გააგრძელებს

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა ყაზახურ გუნდ ტობოლში გააგრძელებს კარიერას. ეს ინფორმაცია ყაზახური კლუბის დირექტორმა ნიკოლაი პანინმა დაადასტურა. მისი თქმით, კლუბს 4 ახალწვეული ჰყავს და მათ შორის, 31 წლის ქართველი ნახევარმცველი.

შეგახსენებთ, რომ ბოლოს კანკავა უგუნდოდ იყო, მანამდე კი 2 წლის განმავლობაში ფრანგული რეიმსის ღირსებას იცავდა, იქამდე კი კარიერის საუკეთესო წლები დნიპროში გაატარა. უკრაინულ გუნდთან ერთად, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა 2014-15 წლების სეზონში ევროპალიგის ფინალში იასპარეზა.

ყაზახეთის ჩემპიონატი საქართველოს მსგავსად გაზაფხული-შემოდგომის ფორმატით ტარდება. ბოლო ჩემპიონატში ტობოლმა მე-5 ადგილი დაიკავა და ევროზონის მიღმა დარჩა.

მანჩესტერმა თვალი თინეიჯერებს დაადგა

მანჩესტერ იუნაიტედი ჩემპიონოშიპის ბინადარ ფულჰემის 17 წლის ტალანტის რაიან სესენიონის შეძენით არის დაინტერესებული. ტრანსფერის მთავარი ინიციატორი ჟოზე მოურინიოა და მზადაა მის სანაცვლოთ ლონდონურ კლუბს 25 მლნ გადაუხადოს.

იუნაიტედის სკაუტები რაიანს ხანგრძლივი დროის განმავლობაში აკვირდებოდნენ. გასულ თვეში ჩემპიონოშიპის ერთ-ერთ შეხვედრაში, სადაც ფულჰემი შეფილდ იუნაიტედს უპირისპირდებოდა, სესენიონმა ჰეთ ტრიკის შესრულება მოახერხა. სწორედ, ამის შემდეგ მისით პირადად ჟოზე დაინტერესდა.

ინგლისურ მედიაზე დაყრდნობით, პორტუგალიელს სურს, რაც შეიძლება სწრაფად იმოქმედოს, ვინაიდან თინეიჯერის შეძენა ტოტენჰემსაც სურს, ჟოზე მზადაა მასში 25 მილიონი გადაიხადოს. გარდა ამისა, აღნიშნული ტრანსფერი თუ განხორციელდა, იუნაიტედი სესესენიონს გარკვეული პერიოდით კვლავ მშობლიურ კლუბში დატოვებს, რათა გამოცდილება მიიღოს და სათანადოთ განვითარდეს. ახალგაზრდა ინგლისელი ამპულით მარცხენა მცველია, მაგრამ შეუძლია, როგორც მარცხენა ნახევარმცველად, ასევე ვინგერათ თამაში.

მანჩესტერ იუნაიტედი, რომელიც გუნდის გაახალგაზრდავებითაა დაინტერესებული, თვალყურს ამსტერდამის აიაქსის თავდამსხმელ ჯასტინ კლუივერტსაც ადევნებს და, შესაძლოა, ტრანსფერი უკვე ამ ზამთარს განხორციელდეს.

გეტყვით იმასაც, რომ ჯასტინი ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელის, პატრიკ კლუივერტის ვაჟია.

ინგლისური მედიის ცნობით, მანკუნიანელთა მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო უკვე ესაუბრა 18 წლის ფორვარდს და მისი ინტერესის შესახებ აცნობა კიდეც. მანჩესტერ იუნაიტედს მეტოქეობა, შესაძლოა, აქაც ტოტენჰემმა გაუწიოს.

ჰოლანდიაში ბევრი მიიჩნევს, რომ ჯასტინი, შესაძლოა, პატრიკზე უკეთესი ფეხბურთელი გახდეს.

ამ სეზონში ჯასტინმა აიაქსის მაისურით ყველა ტურნირში 19 მატჩში ითამაშა, გაიტანა 6 გოლი და მიითვალა 2 შედეგიანი პასი. 18 წლის თავდამსხმელმა ერედივიეს ბოლო ტურში ტილბურგს გაუტანა, მანამდე კი როდასთან სულაც ჰეთ-თრიქი შეასრულა.

რაგბის მოყვარულებს თბილისში ჩელენჯ ქაფის მატჩების ნახვის საშუალება ეძლევათ

პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, 20 იანვარს ევროპული რაგბის რანგით მეორე, ჩელენჯ ქაფის 2 შეხვედრა თბილისში, „ავჭალის“ სტადიონზე გაიმართება.

ამ დღეს ჯგუფური ეტაპის დასკვნითი მატჩების გასამართად თბილისს ინგლისური კლუბები – ნიუკასლი და ლონდონ აირიში ეწვევიან. ისინი გასვლით თამაშებს ციმბირულ კლუბებთან – ჩემპიონ ენისეისა და ვიცე-ჩემპიონ კრასნი იართან გამართავენ.

საქართველოს სარაგბო მატჩების და ტურნირების უმაღლეს დონეზე ორგანიზების კუთხით, სარაგბო სამყაროში სახელი დიდი ხანია გაუვარდა, შესაბამისად არც ევროპული პროფესიული საკლუბო რაგბის ასოციაციას უყოყმანია დიდხანს, მას შემდეგ, რაც მათ მე-6 ტურის საშინაო მატჩების თბილისში გამართვის თხოვნით კრასნი იარმა და ენისეიმ მიმართეს.

კრასნოიარსკულ კლუბებში 3 ბორჯღალოსანი და კიდევ რამდენიმე ქართველი ლეგიონერი თამაშობს, ხოლო კიდევ ერთი ბორჯღალოსანი ლონდონ აირიშის ღირსებას იცავს.

20 იანვარს 14 საათზე ენისეი, რომლის შემადგენლობაში ქართველი ცენტურიონი დავით კაჭარავა და მიხეილ გაჩეჩილაძე თამაშობენ, ნიუკასლს მასპინძლობს. ფალკონზში, რომელიც ჯონი უილკინსონის მშობლიური კლუბია, ამჟამად რამდენიმე ცნობილი მორაგბე თამაშობს. მათ შორის არიან შოტლანდიელები სკოტ ლოუსონი (46 კეპი) და ალისტერ ჰოგი (48), კანადელები ვან დერ მერვე (46), ჯეკ ილნიკი (22) და ევან ოლმსტედი (18), ინგლისელები ტობი ფლადი (60) და დეივ უილსონი (44), ფიჯელები ვერენიკი გონევა (49), ტევიტა კავუბატი (20) და ჯოშ მატავესი (17), ამერიკელი ნიკ სივეტა (10), ტონგელი ნილი ლატუ (54), ოპეტი ფონუა (11) და სონატანე ტაკულუა (25), ფრანგი მაქსიმ მერმოზი (35), არგენტინელი ბელისარიო აგუზა (11).

მოკლედ, ქართველ რაგბის მოყვარულებს ნიუკასლის სახით სერიოზული გუნდის ნახვა მოუწევთ.

პირველი მატჩის დასრულების შემდეგ, 17 საათზე კრასნი იარისა და ლონდონ აირიშის შეხვედრაა, სადაც მოედანზე ერთბაშად 3 ბორჯღალოსნის ხილვის საშუალება გვექნება – ლაშა მალაღურაძისა და გიორგი ფრუიძის კრასნოიარსკელების, ხოლო ლაშა ლომიძის ლონდონელების შემადგენლობაში.

აირიშში ასევე თამაშობენ: ახალ ზელანდიელები ბენ ფრენქსი (47 კეპი), ჯეიმს მარშალი (2) და მიკ კომანი (1), შოტლანდიელები გორდონ რიდი (27) და ბლეირ კოუენი (17), ფიჯელი მანასა საულო (35), სამოელები ფილ პაულო (27) და ოფისა ტრევირანუსი (37), კანადელი ქირან ჰერნი (59) და სხვები.

შედეგები

24 დეკემბერი

ფეხბურთი

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

გრონინგენი-სპარტა	4:0
აიაქსი-ტილბურგი	3:1
ვენლო-ერაკლესი	3:1
ფეინოორდი-როდა	5:1

თუჩქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-მალათია	0:1
ქარაბუქი-ტრაბზონი	1:1
ქაშიმფაშა-ბაშაქშეჰირი	1:2
გალათასარაი-გიოზთეფე	3:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გილემ ბალაგე: „გრიზმანი და კოუტინიო ერთად ბევრია“

ცნობილი ესპანელი სპორტული ჟურნალისტი გილემ ბალაგე ბარსელონას მხრიდან ფილიპე კოუტინიოთი და ანტუან გრიზმანით დაინტერესების შესახებ საუბრობს.

გილემ ბალაგე:

– ლივერპულს კოუტინიოს გაყიდვა არ უნდა. სწორედ ამ პოზიციას ინარჩუნებს კლუბი და ამის გამო, ბარსელონაში ოპტიმისტურად განწყობილები არ არიან.

ნათელია, რომ კატალონიელები ტრანსფერის იანვარში განხორციელებას შეეცდებიან, მაგრამ შეთანხმების მიღწევის კოუტინიოს გარემოცვასაც კი არ სჯერა, რადგან ლივერპული პოზიციას არ ცვლის.

ასევე ეჭვგარეშეა, რომ ბარსელონას გრიზმანი უნდა. კატალონიელები მზად არიან 100 მილიონი ევრო გადაიხადონ და ფეხბურთელი 2018 წლის ზაფხულში დაიმატონ.

ბარსელონას წარმომადგენლები ანტუანის ოჯახის წევრებს შეხვდნენ. ასევე ფეხბურთელის დასაც, რომელიც გრიზმანის ფინანსურ საკითხებს განაგებს. სწორედ ამიტომ მიმართა ატლეტიკომ ფიფას.

ბარსელონა გრიზმანს, კოუტინიოს მსგავსად, პრიორიტეტულ ტრანსფერად განიხილავს, მაგრამ არა მგონია, კატალონიელებმა ორივე მათგანი დაიმატონ.

ზიდანი დარჩება და 200 მილიონს დახარჯავს

ესპანური გამოცემები იტყობინებიან, რომ მადრიდის რეალის პრეზიდენტი, ფლორენტინო პერესი, კლუბის მთავარ მწვრთნელს ზინედინ ზიდანს შეხვდა.

მას შემდეგ, რაც გუნდმა „ელ კლასიკო“ წააგო, ლა ლიგის მოგებისთვის ბრძოლა ფაქტობრივად დასრულდა, ვინაიდან სხვაობა ძალიან დიდია. ეს ფაქტი კი, ზიზუს პოზიციებს ნამდვილად ასუსტებს.

თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტმა ზინედინს აბსოლუტური ნდობა გამოუცხადა და იანვრის სატრანსფერო ფანჯარასთან დაკავშირებით ესაუბრა.

2018 წლიდან ზიზუს მშვიდად მუშაობის საშუალება მიეცემა, ვინაიდან იცის, რომ ის ხელმძღვანელობის მხრიდან ნდობის მანდატით სარგებლობს.

კლასიკოში განცდილი მარცხის შემდეგ „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობა გუნდის გაძლიერებას აპირებს და ნაახალწლევს ტრანსფერებზე 200 მილიონ ევროს დახარჯვას გეგმავს.

ესპანური მედიის ცნობით, ბლანკოსს უნდა მეკარე, ცენტრალური მცველი და მეგოლე ფორვარდი დაიმატოს და არაა გამორიცხული, რამდენიმე ფეხბურთელს გამოეთხოვოს.

რეალს სურს მილანის ინტერის თავდამსხმელის მაურო იკარდის შეძენა, თუმცა თავად იკარდის გუნდის გამოცვლა არ უნდა. აგრეთვე განიხილება ლივერპულის შემტევი ნახევარმცველის მოჰამედ სალაჰის და ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელის პაულო დიბალას ყიდვის ვარიანტები.

ბოავიშტას 20 წლის ფეხბურთელი კიბოთი გარდაიცვალა

პორტუგალიური ბოავიშტას 20 წლის ფეხბურთელი ედუ ფერეირა კიბოთი გარდაიცვალა. ეს სამწუხარო ინფორმაცია ბოავიშტას წარმომადგენლებმა ოფიციალურად დაადასტურეს. ფერეირა თავდამსხმელი იყო და მას საკმაოდ კარგ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ნოემბერში ფერეირას საბედისწერო დიაგნოზი დაუსვეს.

ახალგაზრდა ფეხბურთელი ერთი თვის მანძილზე ებრძოდა დაავადებას, მაგრამ უშედეგოდ. პორტუგალიის ჩემპიონატის შემდეგი ტურის შეხვედრები წუთიერი დუმილით დაიწყება. ფერეირას რამდენიმე დღეში დაკრძალავენ.

გარი ნევილმა მანჩესტერ იუნაიტედი ისევ გააკრიტიკა

მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი ფეხბურთელი გარი ნევილი თავის ძველ გუნდს ხშირად აკრიტიკებს და ამჯერადაც ასე მოხდა, როდესაც მანჩესტერმა ლესტერთან ბოლო წუთზე გაუშვა ხელიდან გამარჯვება.

ნევილის აზრით, მანჩესტერ იუნაიტედში არ არის ლიდერი, რომელიც რთულ მომენტებში გუნდის თამაშს დაალაგებს.

– ბოლო წუთებზე მანჩესტერი საოცრად არაორგანიზებულად გამოიყურებოდა და ამის გამო დაისაჯა კიდეც. გუნდს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს. მოურინიოს კიდევ ძალიან ბევრი სამუშაო აქვს იმისთვის, რომ მანჩესტერ იუნაიტედმა ეს სირთულეები დაძლიოს, – განაცხადა გარი ნევილმა.

ლივერპული საუთჰემპტონის მცველს ყიდულობს

ლივერპული ახლოს არის საუთჰემპტონის მცველის, ვირჯილ ვან დაიკის ყიდვასთან, რომელიც პრემიერ ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება თავის პოზიციაზე.

ვან დაიკის ყიდვა ლივერპულს უკვე ზაფხულში სურდა, მაგრამ საუთჰემპტონმა მაშინ თავისი ლიდერის გაშვება არ მოინდომა. როგორც ჩანს, ამჯერად ლივერპულმა შეძლო საუთჰემპტონის ხელმძღვანელობის დაყოლიება და იანვარში ვან დაიკი ლივერპულს შეუერთდება. სატრანსფერი ფასი 70 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება.

ლივერპული საკმაოდ ბევრ გოლს უშვებს და იურგენ კლოპს სურს, რომ თავისი გუნდის დაცვის ხაზი გააძლიეროს.

ნიკოლას ოტამენდიმ მანჩესტერ სიტისთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

მანჩესტერ სიტის არგენტინელმა მცველმა ნიკოლას ოტამენდიმ კონტრაქტი გაახანგრძლივა და ის მანჩესტერ სიტის ღირსებას 2022 წლის ჩათვლით დაიცავს. ოტამენდი საკმაოდ კარგ სეზონს ატარებს და მისი სტაბილური თამაშის გამო სიტის ცოტა გოლი აქვს გაშვებული.

გარდა ამისა, ოტამენდიმ 5-ჯერ შეძლო მეტოქე გუნდების დამწუხრება და ის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 დეკემბერი

ვერძი – დროა, ფასეულობები საფუძვლიანად გადააფასოთ. მარტოხელებმა პარტნიორის არჩევისას დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოთ. ** კურო** – მერკურის რეგრესული მოძრაობა თქვენს ფინანსებს საფრთხეს უქადის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომელიც, შესაძლოა, ბინის სარემონტო სამუშაოებს უკავშირდებოდეს. **ტყუპები** – დაბნეულობა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა დღის ნეგატიურ ტენდენციებს გაზრდის. ეცადეთ, სისუსტე არ გამოიჩინოთ. **კირჩხიბი** – კონკრეტული გეგმა შეადგინეთ და მისი მიხედვით იმოქმედეთ. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ლომი** – სწორედ დღეს, შესაძლოა, თქვენი მსოფლმხედველობა მთლიანად შეიცვალოს. გელით ასევე შემოქმედებითი არეალის ცვლილება. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეს სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. წარმატება გელით კომერციულ სფეროში, რომელსაც მერკურის კეთილისმყოფელი ზეგავლენა უზრუნველყოფს. **სასწორი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ღრიანკალი** – შესაძლოა, სამსახური ან საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. ეცადეთ, ნებისმიერ ტრანსფორმაციას მშვიდად შეხვდეთ. **მშვილდოსანი** – მოგიხდებათ მოგზაურობა, მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა. კეთილისმყოფელი დღეა ხალხური მეთოდებით მკურნალობისათვის. **თხის რქა** – ზედმეტი ამბიციები მოიშორეთ და დასახული მიზნისკენ ისწრაფეთ. წარმატება თქვენს პრაქტიკულობაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ცდუნებას არ აჰყვეთ. პროვოკაციული დღეა. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **თევზები** – დღის პირველ ნახევარში ინტუიციას მიენდეთ. ორგანიზმის თავდაცვითი რეაქცია ძლიერდება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ↄ



შვეულად: 1. ობობას მეორე სახელწოდება; 2. აეროპორტი სინგაპურში; 3. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 4. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი; 5. სხეულთა წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 6. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული სახელწოდება; 11. დადგენილი წილი, ნორმა; 13. ზამთრის თვე; 14. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 15. ძველებური რუსული ოქროს ფული; 17. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 18. აშშ-ის პრეზიდენტი; 19. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში.

თარაზულად: 7. ქალაქი ჩინეთში; 8. ყალბი, საეჭვო დებულებების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 9. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი; 10. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 12. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული სუფრის ჯიში; 14. დაბალი დგომი თხილამურებით სრიალის დროს; 16. მოწინააღმდეგე კამათში; 18. ნიადაგის დამამუშავებელი მანქანა; 20. სამეჯლისო ცეკვა; 21. ხელზე მოსამსახურე ბიჭი ძველად; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 23. აზრი, ჩანაფიქრი; 24. გემის სურსათითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით მომმარაგებელი ოფიცერი სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სკანვორდის პასუხები:

1. ბალასტი; 2. პიცა; 3. ჩარლი; 4. აჩმა; 5. არბო; 6. კომეტა; 7. ჩალა; 8. ბატი; 9. ენა; 10. აბრისი; 11. რკო; 12. სიმი; 13. ტატრა; 14. „ფაუსტი“; 15. ალეკ; 16. სიმონა; 17. „ტრემბიტა“; 18. მისის; 19. კამილ; 20. კიტა; 21. აკიტა; 22. უბე; 23. ირი; 24. კარატი; 25. ამონალი; 26. მიკადო; 27. მარტი; 28. მარსი; 29. სი; 30. ატრია; 31. „ნანა“; 32. დეპო; 33. პა; 34. არისა; 35. ანანკე; 36. ლორნეტი.

სურათებზე: ალანის მორისეტი; მარკ ოვერმარსი.

ანსამბლ „გვირილას“ ვარსკვლავი გაუხსნეს

თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ანსამბლ „გვირილას“ ვარსკვლავი გაიხსნა.

ვარსკვლავის გახსნამდე დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო კონცერტი ჩატარდა, რომელიც ანსამბლის 20-წლიან ისტორიას აცოცხლებდა.

თავისი არსებობის განმავლობაში ანსამბლმა და მისმა ხელმძღვანელმა ერნა წიფურიამ არაერთი ცნობილი მომღერალი აღზარდა. მათ მშობლიური ანსამბლის სიხარული გაიზიარეს და მონაწილეობა მიიღეს ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალში. და „გვირილას“ იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტში.

თბილისში საახალწლო ნაძვის ხეების გამოფენა გაიხსნა

თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მხარდაჭერით, მეიდან ჯგუფისა და თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზებით, ბამბის რიგში კინოს მოედანზე ნაძვის ხეების ტრადიციული ფესტივალი გაიხსნა.

31 დეკემბრამდე საახალწლო მოდური ნაძვის ხეები წარმოდგენილი იქნება თბილისის ისტორიის მუზეუმში „ქართველა“, მეიდან ჯგუფის საღონისძიებო სივრცეში, სადაც დამთვალიერებელი ნახავს ქართველი დიზაინერების და ხელოვანების მიერ სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი დიზაინის ნაძვის ხეებს.

ქალეიდოსკოპი

ილონ მასკმა ემბერ ჰერდს აკოცა

კომპანია ტესლას დამფუძნებელი ილონ მასკი იმ დროს გამოიჭირეს, როდესაც ის ამერიკელ მსახიობ ემბერ ჰერდს კოცნიდა.

ფოტოსურათი, რომელზეც მასკი ჰერდს კოცნის, ლოს-ანჯელესში ერთ-ერთ რესტორანთან არის გადაღებული. გავრცელებული ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ისინი სხვადასხვა მანქანაში ჩასხდნენ და სხვადასხვა მიმართულებით გაემგზავრნენ, ინფორმირებული წყარო ამტკიცებს, რომ ილონსა და ემბერს მეგობრული ურთიერთობა აქვთ და რომანის განახლებას არ აპირებენ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყვილი ერთმანეთს მოუცლელობის გამო დაშორდა: მასკი მუდმივად დაკავებულია და ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობა უწევს, ხოლო ჰერდი ფილმ „აკვამენის“ გადაღებებზე იმყოფება ავსტრალიაში. მსახიობის აზრით, ის მზად არ არის იმისთვის, რომ მილიარდერის გამო სამსახიობო კარიერა მიატოვოს.

მეზღვაურებმა კოკაინში გახლართული კუ გადაარჩინეს



აშშ-ის სანაპირო დაცვის თანამშრომლებმა ზღვის კუ გადაარჩინეს, რომელიც კოკაინით სავსე ბადეში გაიხლართა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ავრცელებს.

სანაპირო დაცვის მცირე ზომის ხომალდ „ფეტიდას“ გუნდმა ცხოველი წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში საერთაშორისო წყლებში პატრულირების დროს აღმოაჩინა. კუ გაიხლართა თოკებში, რომლითაც კონტრაბანდისტების მიერ გადაყრილი ტვირთი იყო ერთმანეთზე გადაბმული. რეპტილია თავის გათავისუფლებას უშედეგოდ ცდილობდა, რა დროსაც კისერი და კიდურები დაიზიანა. ამერიკელმა მეზღვაურებმა ფრთხილად გადაჭრეს თოკები და ცხოველი გაათავისუფლეს. ინციდენტის გამეორების თავიდან ასაცილებლად მათ თოკები წყლიდან ამოიღეს. მათმა სიგრძემ 22 მეტრს გადააჭარბა.

შემდეგ ოკეანიდან ამოიღეს კოკაინის შეკვრები, რომლის საერთო წონამ 800 კილოგრამს გადააჭარბა. შავ ბაზარზე ასეთი რაოდენობის ნარკოტიკის ფასი 53 მილიონ დოლარს შეადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცირა კობიაშვილზე ბერძნული პრესა ალაპარაკდა

მომღერალმა ცირა კობიაშვილმა საქართველოდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო და თავის მუსიკალურ კარიერას თურქეთში აგრძელებს.

პირველი სიმღერა და ვიდეორგოლი მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს და ინტერნეტში უკვე ნახევარ მილიონზე მეტი ნახვა აქვს.

ცირა და მისი შემოქმედება თურქეთს გასცდა და მასზე ბერძნული პრესაც ალაპარაკდა. ერთ-ერთ ბერძნულ სტატიაში, რომელიც ცირა კობიაშვილს ეძღვნება, საუბარია იმაზე, რომ ქართველი მომღერალი საინტერესოა მუსიკის ინდუსტრიაში, მისი პირველი სიმღერა რუმინელი მუსიკოსების დაწერილია. უშუალოდ კლიპი კი ცნობილი კომპანიის მიერაა გამოშვებული. ვიდეო კლიპი ძალიან ბევრმა ნახა და ხელმისაწვდომია ყველა ციფრულ მაღაზიაში.

კლიპის გამოსვლისთანავე ვიდეორგოლი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში გაუშვეს.

ცირას პირველი ინგლისურენოვანი სიმღერა მიზნად ისახავს, რომ ქართველი მომღერალი გახდეს ცნობილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. აღმავლობის პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

როგორც ბერძნული პრესა წერს, ცირა კობიაშვილს ძლიერი, საოცარი და ენერგიული ხმა აქვს. ის 3 წლიდან მღერის და მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა კონკურსსა და კონცერტში.

ცირა კობიაშვილი სწავლობდა „ჯორჯიან დრიმ სტუდიოში“, რომელიც ბერამ თავის უცხოელ კოლეგებთან ერთად დააარსა და არაერთ ნიჭიერ დამწყებ მომღერალს მისცა საშუალება საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოევლინა. ცირა კობიაშვილმა ამ სტუდიაში ამერიკელ ქორეოგრაფებთან და მუსიკოსებთან ერთად იმუშავა, რაც დიდი გამოცდილებაა მისთვის.

ქართველი მომღერალი მუსიკალური კონკურსის „იქს ფაქტორის“ მონაწილეც იყო. მან გიორგი გაბუნიას გუნდში ნაყოფიერად იმუშავა და ფინალისტიც გახდა.

პაატა ინაური გოგოს მამა გახდა

მარჯანიშვილისა და სამეფო უბნის თეატრების მსახიობი პაატა ინაური გოგოს მამა გახდა.

მისმა მეუღლემ, ასევე მსახიობმა კატო კალატოზიშვილმა პატარა გოგონა გააჩინა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ეს სასიხარულო ინფორმაცია პაატა ინაურმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და ბევრი მილოცვა და დადებითი კომენტარიც მიიღო.

პაატამ და კატომ თავიანთ გოგონას კირა დაარქვეს. ახალბედა დედიკომ და მამიკომ მილოცვებისა და საუკეთესო სურვილებისთვის გულითადი მადლობები იხადეს.

„ცელქი ბავშვები“ კინოთეატრებში ბრუნდება

ყველაზე მხიარული, სახალისო და საბავშვო ფილმი „ცელქი ბავშვები“ კინოთეატრებში ბრუნდება. 28 დეკემბრიდან კინოთეატრებში დიდი მხიარულება დაბრუნდება.

გრიგოლ ყიფშიძე, რუსკა მაყაშვილი, ნიკა გრიგოლია, ჯაბა კილაძე, ცელქი ბავშვები და ძალიან მაგარი ახალი სიმღერა – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ სიახლეებისა, რომელიც კინოთეატრში მისულ ბავშვებს ელოდებათ.

სპეციალურად ფილმისთვის ჩაწერილი სიმღერა და მასზე გადაღებული ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე ხელმისაწვდომია. გრიგოლ ყიფშიძის შესრულებით ჩაწერილ სიმღერას ათასობით ნახვა და მოწონება აქვს.

„ცელქი ბავშვები: ოპერაცია მეცხრე ცა“ – ასეთია ფილმის სახელწოდება, რომელიც 28 დეკემბრიდან პატარა მაყურებელს და მათ მშობლებს გაამხიარულებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 2. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 3. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 6. ფრანგული სამგზავრო თვითმფრინავების სერია; 8. ლომების ჯოგი; 11. ებრაული სამლოცველო; 12. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა, სიცარიელე; 16. პატარა საცხოვრებელი სახლი ჩინეთში; 17. მუსლიმანური მთვარის კალენდარი; 18. სპორტიანი სასმელი.

თარაზულად: 1. სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის ნატურალური ზომის მოდელი თვალსაჩინოებისათვის; 5. ხელოვნური მარმარილო; 7. ნ.ბ.ა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 9. ხეხილის ბაღი; 10. პარიზის ძველი სახელწოდება; 13. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 14. პოპულარული საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 15. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 19. უნგრული წვნიანი კერძი; 20. თეთრყურძნიანი ვაზის გერმანული ჯიში; 21. მარტივი, უმოტორო საფრენი აპარატი; 22. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



სამგლოვიარო განცხადებები

ციალა (ციცო) ჯახუა-კვეკვესკირის მონატრება

ახლოვდება ტკივილიანი 40 დღე, რაც ჩვენთან აღარ ხარ, მოულოდნელი იყო შენი წასვლა ამქვეყნიდან. მაშინ შეწყდა შენი გულისცემა, როცა ყველაზე მეტად გწყუროდა სიცოცხლე. კეთილშობილი პიროვნება იყავი, უპრეტენზიო. განურჩევლად ყველა გიყვარდა, ყველას უყვარდი. შენს საყვარელ მეუღლეს სერგოს, შენს შვილებს, შვილიშვილებს მუდამ სიკეთით სავსე, მოსიყვარულე ემახსოვრები. გვიმძიმს უშენობა დებს, დისშვილებს, ძმისშვილებს, მეგობრებს, მეზობლებს. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ შენი მოლოდინისა და მონატრების გრძნობას ვერაფერი განკურნავს. ნათელში ამყოფოს შენი ღამაზი სული. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა. გაგიხსენებთ მუდამ.

დიდი სიყვარულით, ზაირა პაჭკორია, გურანდა მიქავა, მირანდა ნარმანია

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

სამშაბათი 26 დეკემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **08.50** ანიმაცია. "ალბი" თოვლის კაცუნა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენბრ ვეგრინე**" **10.00, 02.30** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.25** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "მეცნიერება - ხვალ უკვე დღეს" **15.30** დოკ/ფ "შედევრის ცხოვრება" **16.30, 05.15** ტ/სერ. "**ველვეტი**" **18.30, 07.00** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **23.15** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **00.15** მხ/ფ "**ქანონრის ქალა**" (გ.პელტროუ) **03.30** მხ/ფ "**ჯერი მაგუანერი**" (ტ.კრუზი)

06.30 სერ. "**ფიცი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.05** ქრონიკა **10.10, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ბუკილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **8** სერ. **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** ნიჭიერი **23.30** სერ. "**დიდი შესვენება**" **00.10** მხ/ფ "**ცუდი ლეიტენანტი**" **02.25** მხ/ფ "**ლუშის ფარგოს ქარცვა**" **04.20** მხ/ფ "**როცა პარი შეხვდა სალის**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**აფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**ზზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების საკანა**" **22.00** არჩევანი **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

tv ეროვნული **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** რეაქცია **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

08.00 ან/ფ "ავატარი **2**" **09.00, 19.00** სერ. "**ჯაშუში**" **11.00** მხ/ფ "**მაგარი გოგონა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 5**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 7**" **21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **2** სერ. **22.30** მხ/ფ "**სიმართლის მიღმა**" **00.20** მხ/ფ "**შინდი**" **02.35** მხ/ფ "**ეშმაკის ადვოკატი**" **05.05** მხ/ფ "**სახისგარეშე**"

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.30** სერ. "**ბანდოლიერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 21.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40,** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 3.40** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. " **პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00**Hellow თბილისი **00.00** მხ/ფ " **ახალი პოლიციური ისტორია**"

06.10 დ/ფ "რწმენის აღორძინება" **06.50** მოკ. მხ/ფ "**საბოთხის გვრიტები**" **07.50** საგალობელი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **10.25** ჩვენი ფონდი "მეუფე ანანია-საქართველოს პატრიარქის შესახებ" **10.55** კონცერტი **12.05** დ/ფ "ველური ბუნება-გალაპაგოსის კუნძულები" **12.40** მხ/ფ "**დიმიტრი II**" **13.40** ან/ფ "კონკია" **15.05** ქართული ან/ფ **15.50** კონცერტი **17.30** მარადიული აწყმო (პატრიარქის ბიოგრაფია) **18.10** შარავანდედი-წმინდა ანდრია ეპისკოპოსი, ალ. ხახანაშვილი **18.40** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** "განთიადის" (განმეორებითი ჩვენება) **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ძილ ნებისა "გვირილა" **21.25** გაცოცხლებული წარსული "ოქროს მართვე" **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სალბუნი "რეანიმაცია" **23.40** ივერიის ეკლესია "საეკლესიო სეპარატიზმი სამცხეში" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** საღვთისმეტყველო საუბრები "ლევან გიგინეიშილი-იოანე პეტრიწი" **01.30** კონცერტი

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 დეკემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 2.5342

ევრო
— 3.0030

ინგლისური გირვანქა
სტერლინგი
— 3.3908

100 რუსული
რუბლი
— 4.3486

ამინდის პროგნოზი 26 დეკემბრისთვის

28 დეკემბრიდან

ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოცბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი

15 დეკემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები



ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

იუმორი

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი დაკვირვების შედეგად ერთ დასკვნამდე მივედი.

– რა დასკვნა?

– რა და, კაცს უნდა ჰყავდეს კარგი ცოლი, რომ სამსახურიდან სახლში მისვლა უხაროდეს, და კიდევ სახლში უნდა ჰყავდეს სიდედრიც.

– ეგ რატომღა?

– სამსახურშიც სიხარულით რომ გარბოდეს.

•••

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, ვისკის ბოთლი ნახევრად ცარიელი რატოა?

– იმიტომ, რომ პესიმისტი ხარ.

•••

კაცმა ცოლი მოიყვანა. პატარძალი დატრიალდა სახლში და ყველაფერი დააწკრიალა, მერე შესაღებ ფანჯრებს მიადგა, მაგრამ ფუნჯი ვერსად რომ ვერ იპოვა, ღამე მოხუც პაპას მიადგა, წვერი და ულვაშები შეკრიჭა, ფუნჯი გააკეთა და დილით ფანჯრებიც შეღება. ამ დროს კი ოჯახის სხვა წევრები ქალაქში იყვნენ წასული ახალი რძლისთვის საჩუქრების მოსატანად. სახლში დაბრუნებულებს პაპა კაკლის დიდ ხეზე ასული დახვდათ. შვილიშვილი ეკითხება:

– მანდ რას აკეთებ, პაპი, ჩამოდი, არ ჩამოვარდე!

– არ ჩამოვალ.

– რატომ, პაპი?

– ჩვენმა რძალმა ტორტის კეთება დაიწყო.

– მერე?

– მერე და სახლში კვერცხები აღარ არის...

•••

კაცს მანქანა დაეჯახება. მძღოლი გადმოხტება მანქანიდან, ძირს დაცემულს მივარდება და ემუდარება:

– ადექი, რაა, ადექი, რაა, გემუდარები, არ დამღუპო...

კაცი თვალს გაახელს და მძღოლს ეუბნება:

– ვიდექი და დამაყენე?

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რაღაც ხასიათზე ვერ ხარ და რა მოხდა?

– ბიჭებმა მეზობლის ავტოფარეხი გატეხეს და ჩემ ბიჭს უნდა, რომ დანაშაული მთლიანად საკუთარ თავზე აიღოს.

– მართლა? იქნებ შენი ბიჭი ჩემ ფირმაში მთავარ ბუღალტრად ამეყვანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანეთის პოლიციამ „სიმპსონების“ მეთოდი დამნაშავეთა დასაკავებლად გამოიყენა

ინგლისის საუთ-იორკშირის საგრაფოს პოლიციამ 21 დამნაშავე დაიკავა მეთოდით, რომელიც მულტსერიალ „სიმპსონებშია“ ნაჩვენები. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

პოლიციელებმა დაამზადეს არარსებული ფირმის სარეკლამო ფურცლები და ისინი გააგზავნეს მისამართებზე, სადაც, სავარაუდოდ, დამნაშავეები იმალებოდნენ. თუ ისინი საშობაო საჩუქრის უფასოდ მიღებაზე თანხმდებოდნენ, უბრალოდ, საჩუქრის მიღების ადგილი და ვადა უნდა მიეთითებინათ.

შედეგად ძარცვებში, თავდასხმებსა და სხვა მსგავს კანონდარღვევებში ეჭვმიტანილებს კურიერების მაგივრად სამართალდამცავებმა მიაკითხეს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მეთოდი „სიმპსონების“ მეცხრე სეზონის მერვე სერიაში პოლიციის შეფმა ვიგამმა გამოიყენა, რომელმაც დამნაშავეები უფასო ძრავიანი ნავების დარიგებაზე მიიწვია.

უცნობია, ასეთი იდეა ბრიტანელ პოლიციელებს თავად დაებადათ თუ მულტსერიალიდან გადაიღეს, მაგრამ, ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ „სიმპსონები“ აპლოდისმენტებს იმსახურებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა